ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი — ორშაბათი, 13 აპრილი, 2009 №18 (3511) — ფასი 1 ლარი


## რუმინეთში ქართველები დაარბიეს!

### სასტიკად ნაცემ მორაგბეებს სიტყვა საელჩომაც შეაშველა




ასე „გაუმასპინძლდნენ“ რუმინელები კახა ჭრავის

## ოლიმპი – ვიტ ჯორჯიას ცუდი სუნი აუვიდა!!!

### რა გასცემს პასუხს კითხვას: თასი თუ გამოძიება?



## საქართველო და აფხაზეთი ერთ ორგანიზაციაში?!




## არის დებიუტი: ყენია ნამდვილი ხუმარაა!



**წინასწარ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!**

**მომდევნო „სარბიელი“ გამოვა სამშაბათს, 21 აპრილს**

# ქართველები უცხოეთში

# ყენია ნამდვილი ხუმარაა

## ასათიანიც გამოჩნდა...

**დებიუტების და გოლების ტური — ასეთი გამოდგა ეს უქმეები ქართველი ლეგიონერებისთვის, თუმცა ჯერაც ძალიან ბევრია ისეთების რაოდენობა, თამაში რომ სანატრელი აქვთ. შეიძლება ითქვას, რომ ასე ევროპაში ჯერ არ გაგვჭირვებია... ერთიც: ცუდი ამბავი ის მოხდა, რომ დაშავდა ორჰუსელი დავით დევდარიანი, თუმცა იმედი ვიქონიოთ, რომ მისი ტრავმა სერიოზული არ იქნება...**


ლევან ყენია

**გერმანია:** გელზენკირხენის „შალკემ“ შინ 2:0 მოუგო „კარლსრუეს“.

აი, ამ მატჩში შედგა 18 წლის ქართველი ნახევარმცველის, ლევან ყენიას ბუნდესდებიუტი!

უნიჭიერესი ფეხბურთელი 88-ე წუთზე შევიდა მოედანზე და ამ მცირე დროში სამი ზუსტი გადაცემის გაკეთებაც მოასწრო.

მოკლედ, ყენიამ დებიუტი უკვე მიიღია და ახლა უფრო მეტი უნდა იფიქროს წინსვლაზე და იმედია, „ხუმარების“ მწვრთნელებს იმის საბაბს მისცემს, რომ მეტი ხნითაც შეუშვან მოედანზე.

„კარლსრუესთან“ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა ლევან კობიაშვილმა, ვინც 72-ე წუთზე შეცვალეს.

ალექსანდრე იაშვილი კი „კარლსრუეს“ განაცხადში არ იყო და ბარემ აქვე ვიტყვით, რომ მის გუნდს, სამწუხაროდ, ბუნდესლიგაში დარჩენის იმედი, ფაქტობრივად, აღარც შერჩა...

მეორე ბუნდესლიგაში „მიუნხენ 1860“-მა სტუმრად 2:3 წააგო „კობლენცთან“, „აუგსბურგი“ 1:2 დამარცხდა „ფრანკფურტთან“, ხოლო „ვეენმა“ ქულა აართვა „ინგოლშტადტს“, თუმცა არც ერთ ქართველს (მათე ლვინიანიძე, ოთარ ხიზანეიშვილი, ლევან ცქიტიშვილი) არ უთამაშია.

**იტალია:** „მილანი“, ცხადია, კახა კალაძის გარეშე ესტუმრა „კიევოს“ და კლარენს ზეედორფის გოლით იმარჯვა, „პალერმომ“ კი ლევან მჭედლიძის გარეშე წამოიღო ქულა „ინტერისგან“ (2:2).

ქართველი თავდამსხმელი განაცხადში არ იყო.

**რუსეთი:** ყაზანის „რუბინმა“ სტუმრად 2:1 დაამარცხა გროზნოს „ტერეკი“.

სტუმართაგან განაცხადში მხოლოდ **ლაშა სალუქვაძე** იყო, თუმცა თამაშის საშუალება არ მისცემია, **დავით კვირკველია** და **ნუკრი რევიშვილი** კი განაცხადს მიღმა დარჩნენ.

რაც შეეხება ტერეკელ **ლევან გვაზავას**, 70-ე წუთზე შეცვალეს.

გოლით გამოირჩა ნალჩიკელი ალექსანდრე ამისულაშვილი. მისი „სპარტაკი“ შინ ოდენ ქულას (1:1) დასჯერდა „სატურნთან“ და ეს ქულაც ქართველი მცველის დამსახურებაა, ვინაც დასწრებაზე კარგად ითამაშა და ახლოდან დალაშქრა პლანეტელთა კარი.

ამისულაშვილის დარად, „სპარტაკში“ გოგიტა გოგუამაც ითამაშა.

დავით მუჯირის „ლოკომოტივი“ კი დერბიში 1:4 დამარცხდა თანაქალაქელ ცსკა-სთან.

ქართველი ნახევარმცველი 75-ე წუთზე ჩაერთო თამაშში და ერთი საგოლე პასი გააკეთა.

**უნგრეთი:** „დიორ ეტომ“ შინ 3:1 სძლია მტკ-ს და დავით ოდიკაძემ სრულად ითამაშა. დიორელთა მეორე ქართველი **რატი ალექსიძე** განაცხადში არ იყო.

დავით იმედაშვილის „ნიირედიჰაზამ“ კი 0:1 წაიფორხილა „კაპოშვართან“.

იმედაშვილმა 90 წუთი გაატარა მოედანზე.

**უკრაინა:** მოსახდენი მოხდა — **მალხაზ ასათიანი** კიევის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა.

კიეველებმა 3:1 დაამარცხეს ოდესის „ჩერნომორეცი“, ქართველმა მცველმა კი 90 წუთი ითამაშა.

დებიუტი ჰქონდა **ლაშა ჯაკობიასაც**.

კიევის „არსენალი“ სტუმრად 0:2 დამარცხდა დონეცკის „შახტართან“ და ქართველი თავდამსხმელი 75-ე წუთზე შევიდა მოედანზე.

ხარკოვის „მეტალისტმა“ მოულოდნელად ორი ქულა დაკარგა (1:1) ლვოვის „კარპატისთან“.

სტუმართა შორის სანდრო გურული ძირითადში იყო და 56-ე წუთზე შეცვალეს.

ლუგანსკის „ზარიამ“ შინ 2:0 სძლია „ხარკოვს“ და ქართველი მცველი გიორგი ციმაკურიძე სრულად გაისარჯა.

სიმფეროპოლის „ტავრიამ“ კი ასვე შინ ვერაფერი მოუხერხა „კრივბასს“ (0:1).

**ვასილ გიგიაძე** 72-ე წუთზე გამოჩნდა სიმფეროპოლელთა შორის, **ლადო ბურდული** კი განაცხადში არ იყო.

უქართველებოდ ითამაშა „დნეპრომაც“.

**სანდრო კობახიძეს, ბექა გოცირიძეს** და **ჯაბა კანკავას** (ტრავმირებულია) „ვორსკლასთან“ 2:1 მოგებაში წვლილი არ შეუტანიათ.

**ავსტრია:** უმნიშვნელოვანესი სამი ქულა წაიღო ვენიდან გრაცის „შტურმმა“.

**ილია კანდელაკის** და **გიორგი შაშიაშვილის** გუნდმა სტუმრად 1:0 დაამარცხა „რაპიდი“.

**დანია:** „ორჰუსმა“ შინ 1:0 სძლია „ჰორსენსს“ და ეს მატჩი უსიამოვნო გამოდგა დავით დევდარიანისთვის — ახალგაზრდა ქართველი ნახევარმცველი დაშავდა და მე-20 წუთზე შესაცვლელი შეიქნა.

ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, რა სირთულისაა ტრავმა...

ჩვენიანები სრულად გაისარჯნენ.

**ჩეხეთი:** „პლზენმა“ შინ 5:0 მიანგრია „ზლინი“.

დიმიტრი ტატანაშვილი 66-ე წუთზე გამოჩნდა მოედანზე, თუმცა გოლი არ გაუტანია.

**მოლდოვა:** „დაჩიამ“ სტუმრად 0:1 წააგო „ისკრა-სტალთან“.

კიშინიოველთა შორის **კახა მჟავანაძემ** და **ჯაბა დვალმა** 90-90 წუთი ითამაშეს, **ლევან კორღალიძემ** კი ბოლო ნახევარი საათი დაჰყო მოედანზე.

რა თქმა უნდა, მოიგო ტირასპოლის „შერიფმა“ — 1:0 „ოლიმპიასთან“.

და, რა თქმა უნდა, შერიფელთა კაპიტანმა ვაჟა თარხნიშვილმა სრულად ითამაშა.

**აზერბაიჯანი:** „ბაკიმ“ **ბადრი კვარაცხელიას** გაწვრთნილ „სტანდარდს“ 2:1 აჯობა.

**გიორგი ადამია** მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე შეცვალეს, თუმც იქამდე გოლის გატანაც შეძლო; **გიორგი დემეტრაძე** სათადარიგო იყო, ხოლო ბაკელთა მესამე ქართველ **ამირან მუჯირს** დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია.

რაც შეეხებათ სტანდარდელ ქართველებს — **დავით ჭიჭველშვილმა** და **ლევან სილაგაძემ** შეუცვლელად ითამაშეს.

ზაქათალის „სიმურგმა“ 3:0 დაამარცხა „ბაკილი“, ოღონდ ამჯერად არც ერთ ქართველს გოლი არ გაუტანია.

**კახა ჩხეტიანმა, დავით ბოლქვაძემ** და **მიხეილ მახვილაძემ** სრულად ითამაშეს, **გრიგოლ დოლიძე** კი ტრავმირებულია.

1:1 დასრულდა „გაბალას“ და „ოლიმპიკის“ შეხვედრა და ამ მატჩში ერთბაშად ხუთი ქართველი იყო მოედანზე.

„გაბალაში“ 90-90 წუთი გაისარჯნენ **თორნიკე აფციაური** და **გოგა ბერაია**, „ოლიმპიკში“ კი **ალეკო გოგობერიშვილმა** სრულად ითამაშა, **რომან ახალკაცი** 57-ე წუთზე შევიდა მოედანზე, **რევაზ გეწაძე** კი — 81-ეზე.

„ქარვანი“ 0:4 განადგურდა სტუმრად „თურანთან“ და მომხვდურთა შორის შეუცვლელად ითამაშა **ალექსანდრე ინწკირველმა**.

**გივი ჩხეტიანის** „მუღანი“ კი შინ 1:2 დამარცხდა „ყარაბახთან“ და ქართველი ნახევარმცველი შესვენებაზე შეცვალეს.

**ისრაელი:** პირველი ლიგის ლიდერმა ჰაიფას „ჰაპოელმა“ 3:0 სძლია იერუსალიმის „ჰაპოელს“ და ქართველმა თავდამსხმელმა **ირაკლი გეფერიძემ** ამჯერადაც გამოიჩინა თავი.

გეფერიძე შეუცვლელად გაისარჯა და მისმა გუნდმაც, ფაქტობრივად, გაინაღდა უმაღლესი ლიგის საგზური.

**კახა ზალამბერიძე**


მალხაზ ასათიანი

სარბიელელები და ამერელები
50 წლის იუბილეს ვულოცავთ
გაზეთ „სარბიელის“ გამომცემელს
და ფეხბურთის კლუბ
ამერის პრეზიდენტს
ზურაბ ფოცხვერიას!
ჯანმრთელობას, ბედნიერებას
და წარმატებებს ვუსურვებთ!

## ქართული სიტყვა უცხო პრესაში

# გიორგი ადამია ასიანია

**„ბაკის“ ქართველმა თავდამსხმელმა გიორგი ადამიამ მე-100 მატჩი ჩაატარა აზერბაიჯანის ჩემპიონატში. ეს ამბავი „ოლიმპიკთან“ მატჩში მოხდა, რომელიც ბაკელებმა 0:2 წააგეს და ჩემპიონობისთვის ბრძოლა გაირთულეს... ადამიას იქაური „აპასპორტი“ ესაუბრა და სწორედ მისგან შეიტყო 100-იანი „იუბილეს“ თაობაზე...**



— „ოლიმპიკთან“ მატჩი თქვენთვის მე-100 გამოდგა აზერბაიჯანის ჩემპიონატში...

— მართლა? არაფერი ვიცოდი. ადრე მაინც გეთქვათ...

— ეს რომ გცოდნოდათ, უკეთესად ითამაშებდით?

— მოტივაცია კიდევ უფრო მომემატებოდა. არც ისაა გამორიცხული, უკეთაც მეთამაშა. რაც უნდა იყოს, მე-100 მატჩის ჩატარება ძალიან სასიამოვნოა.

— ასეთი მოულოდნელი იყო ეს მაჩვენებელი თქვენთვის?

— მეოთხე წელია, აზერბაიჯანში ვარ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, თამაშების რაოდენობა არასოდეს დამითვლია. ისე, კი ველოდი, რომ მე-100 მატჩი ამ სეზონში მომიწევდა...

— ხადებიუტო შეხვედრა თუ გახსოვთ?

— „ნეფთჩისთან“ ერთად „შამქირს“ შევხვდი. 2:1 მოვიგეთ და ერთი გოლი გავიტანე.

— არა, იქამდე „ბაკის“ შეხვდით. სწორედ იმ გუნდს, რომელშიც დღეს თამაშობთ...

— ერთი წუთით... კი, მართალი ხართ. გამახსენდა... სხვათა შორის, აზერბაიჯანის ჩემპიონატამდე „ნეფთჩის“ თანამეგობრობის თასზე ვახლდი და 6 გოლით ტურნირის ბომბარდირი გავხდი.

— აზერბაიჯანში პირველი მატჩი „ნეფთჩიში“ ჩაატარეთ, მე-100 კი „ბაკიში“...

— ასეთია ფეხბურთი... მუდამ ერთი და იგივე გუნდში ხომ არ ითამაშებ?! ასე ხდება, დღეს ერთ გუნდში ხარ, ხვალ მეორეში... ყოველ შემთხვევაში, საკუთარი ბედით კმაყოფილი ვარ.

— არ გინდოდათ, რომ მე-100 მატჩიც „ნეფთჩიში“ ჩაგეტარებინათ?

— ამაზე არ მიფიქრია. მართალია, „ნეფთჩიში“ აღარ ვთამაშობ, მაგრამ ამ გუნდში საუკეთესო წლები გავატარე — აზერბაიჯანის ჩემპიონიც გავხდი და თანამეგობრობის თასიც მოვიგე. „ნეფთჩი“ ჩემთვის ყოველთვის მშობლიური გუნდი იქნება.

— ამ 100 მატჩიდან რომელს თვლით ყველაზე წარმატებულად და რომელს ყველაზე წარუმატებლად?

— წარუმატებელი 2007 წელს იყო, როცა „ოლიმპიკს“ შევხვდით. ლიდერები ვიყავით, 1:2 დავმარცხდით და ჩემპიონობაც დავკარგეთ. მახსოვს, ტრავმა ბოლომდე მოშუშებულიც არ მქონდა, მაგრამ მაინც ვითამაშე...

— ყველაზე წარმატებული კი ალბათ 2005 წელს „ხაზარ-ლენქორანთან“ მატჩი იყო...

— მართალი ხართ. იმ მოგებით ჩემპიონები გავხდით.

— აქ გატანილი გოლებიდან რომელი გახსოვთ ყველაზე კარგად?

— „ქარვანთან“ ორი წლის წინ დუბლი შევასრულე და მეორე გოლი ძალიან ლამაზი გამომივიდა.

— პირველი ჰეთ თრიქი კი კარიერაში გასულ სეზონში შეასრულეთ „სტანდარდთან“ მატჩისას...

— ეს თასზე იყო და ვეცდები, ჩემპიონატშიც შევაგდო სამი გოლი.

— რაც „ბაკიში“ გადახვედით, მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეთ და ისიც თასზე. რა არის ამის მიზეზი?

— შესაძლოა, ეს ამპლუის შეცვლის ბრალიც იყოს. „ბაკიში“ მარჯვენა ნახევარმცველი ვარ, „ნეფთჩიში“ კი ხან ცენტრში ვთამაშობდი, ხან ოდნავ მარცხნივ. სერთოდ, ჩემი ადგილი თავდასხმაშია.

— სადღეისოდ აზერბაიჯანის ჩემპიონატში 29 გოლი გაქვთ გატანილი. ახვალთ 100-მდე?

— ეს არ არის მთავარი. ჩემთვის პრიორიტეტი გუნდის შედეგია. პირად ტიტულებს არასოდეს გავკიდებივარ. ძალიან მინდა, მეორე ჩემპიონობა „ბაკისთან“ ერთად მოვიპოვო და ვნახოთ, რა გამომივა...

## დვალიშვილის უწყვეტი სერია

**რიგის** „სკონტომ“ მძლავრად დაიწყო ლატვიის ჩემპიონატი — ოთხი მატჩიდან ოთხივე მოიგო და 12 ქულა აქვს.

„სკონტომ“ ამ ოთხ თამაშში 14 გოლი გაიტანა და აქედან 7 ქართველებისაა — 6-ჯერ თავი ვლადიმერ დვალიშვილმა გამოიჩინა, ერთხელ კი დავით გამეზარდაშვილმა.

დვალიშვილს ერთი საინტერესო მიღწევაც აქვს — ოთხივე ტურში შეძლო თავის გამოჩენა.

ბოლო ტურში რიგელებმა უდაძაბულეს ბრძოლაში 3:2 დაამარცხეს თამაზ პერტიას „დინაბურგი“ და დვალიშვილმა 78-ე წუთზე გადამწყვეტი ბურთი შეაგდო.

მოკლედ, ქართველი თავდამსხმელისთვის სეზონი ისე დაიწყო, უკეთესს ალბათ ვერც ინატრებდა და საინტერესოა, რა უნდა გააკეთოს მან კიდევ, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა ყურადღება მიიპყროს?

დავიჯეროთ, ამხანაგურ მატჩებში მისი განსჯაც არ ღირს?

ოთარ მხეიძე



## ქართველი გოგონები აზერბაიჯანელებთან

**აზერბაიჯანის** ფეხბურთის ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, საქართველოს 19-წლამდელ გოგონათა ნაკრები ორ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს აზერბაიჯანელ თანატოლებთან.

თამაშები 13 და 15 აპრილს გაიმართება ტოფიკ ბახრამოვის სახელობის რესპუბლიკურ სტადიონზე.

ოთარ მხეიძე

## ხოჯავამ ბალტიკას დუბლი უთავაზა



გოჩა ხოჯავა

**მახაჩყალის** „ანჟიმ“ რუსეთის პირველი დივიზიონის მესამე და მეოთხე ტურებში ზედიზედ მოიგო და 10 ქულით ჩაუდგა ცხრილს სათავეში.

„ანჟიმ“ 1:0 დაამარცხა იაროსლავლის „შინიკი“ და 2:0 სძლია კალინინგრადის „ბალტიკას“.

ქართველთაგან „შინიკთან“ ედიკ საჯაიამ (90 წუთი), გიორგი ნავალოვსკიმ (90), გოჩა ხოჯავამ (83) და ზურაბ არზიანმა (7) ითამაშეს.

„ბალტიკასთან“ კი ჩვენებმა წუთები ასე გაინაწილეს — საჯაია (90), ნავალოვსკი (90), ხოჯავა (80) და არზიანი (25).

სასიამოვნოა, რომ ორივე გოლი ხოჯავამ გაიტანა, ვინაც საყრდენ ნახევარმცველად ითამაშა.

რაც შეეხებათ კახა ალადაშვილს, ოთარ მარცვალაძეს და სანდრო იაშვილს — ისინი კვლავ უვიზობის გამო ვერ ეხმარებიან გუნდს.

კახა ზალამბერიძე

## კვირის ქრონიკა

### თარხნიშვილი საუკეთესოა

**ტირასპოლის** „შერიფმა“ გასულ ტურში 0:0 ითამაშა „ისკრასთან“, თუმც მოლდოვის ჩემპიონატს მაინც ერთპიროვნულად ლიდერობს.

იმ მატჩის შემდეგ „შერიფის“ ოფიციალურ ვებგვერდზე გულშემატკივართა გამოკითხვა ჩატარდა და შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელად ვაჟა თარხნიშვილი დასახელდა. ვეტერანმა ქართველმა მცველმა ხმების 22,8 პროცენტი მიიღო.

### თოთაძის სრული მაკაროვი

**კიევის** „დინამო. 2“-მა ამხანაგური მატჩი გამართა „მაკაროვთან“ და 1:1 ითამაშა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველი ლაშა თოთაძე სრულად გაისარჯა.

### ქართველები უთასოდ

**დავით ოდიკაძის** და რატი ალექსიძის „დიორ ეტო“ უნგრეთის ლიგის თასს გამოეთიშა.

დიორელებმა შინ 1:1 ითამაშეს „ფეჰერვართან“, პირველი მატჩი კი 0:2 ჰქონდათ წაგებული.

ქართველმა ლეგიონერებმა 90-90 წუთი გაატარეს მოედანზე.

### ხიზანიშვილი ისევ უქმობს

**ზურაბ ხიზანიშვილის** „ბლექბერნი“ სტუმრად 0:4 დამარცხდა „ლივერპულთან“.

ქართველი მცველი განაცხადში იყო, თუმცა თამაშმა არც ამჯერად მოუწია.

ჩანს, ამ სეზონის მერე ხიზანიშვილი უეჭველად გამოიცვლის გუნდს.

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა — 27 ტური



იყო თუ არა „ფოლადზე“ ნამდვილი ბრძოლა?

# ოლიმპი — ვიტ ჯორჯია ძალიან აყროლდა!!!

24 მარტს საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგაში თასის ნახევარფინალის წილისყრა მოეწყო. მონაწილე გუნდებსაც შეგახსენებთ — „ვიტ ჯორჯია“, „ოლიმპი“, „ლოკომოტივი“, „დინამო“.

ალბათ ისიც გახსოვთ, რომ წილისყრამ ყველაზე უკმაყოფილო „დინამო“ დატოვა. არა იმიტომ, რომ მას მეტოქედ „ლოკომოტივი“ ერგო, არამედ, იმიტომ, რომ ამ მატჩს ლევან კვარაცხელია სჯის, რომლისგანაც დინამოელებს ძველი წყენა ახსოვთ...

ყველა სხვა მხარე მშვიდად შეხვდა ლოტოტრონიდან ამოღებულ ნომრებს...

რისთვის გავიხსენეთ ეს ამბავი?

ჯერ კიდევ მაშინ თქვეს „ბოროტმა ენებმა“ მომდევნო სცენარი — „ოლიმპი“ ჩემპიონ-ატში სამ ქულას დაუთმობს „ვიტ ჯორჯიას“, ამასვე აიძულებს თანამხარელ „სიონს“, სანაცვლოდ კი ვიტელები თასზე გაატარებენო.

ვილაცის ნათქვამს ასი პროცენტით ვერ დავეყრდნობით, ვერც ამა თუ იმ გუნდს დავა-დანაშაულებთ რამეში, მაგრამ რას ნიშნავდა ის, რომ თითქმის ნახევარმა სტადიონმა იცოდა იმ დღეს მომგებ-წამგების ვინაობა?

დავიჯეროთ, ყველას ერთად გაეხსნა ინტუიცია?

კეთილი. ჩვენც ვიცით, რომ ამ ამბავს ასე იოლად ვერ დავამტკიცებთ, მაგრამ რატომ ხდება ყველაფერი ისე, როგორც „ბოროტმა ენებმა“ დაგეგმეს?

რატომ ეტყობოდა „ფოლადზე“ გამოსულ ორივე გუნდს ხელოვნურობა?

ამ მატჩზე დასასწრებად რომ მივედით, განგებ არ დავჯექით პრესლოჟაში. გვინდოდა, ქომაგებს შორის ვყოფილიყავით და იქიდან „მიგველო“ ახალ-ახალი ინფორმაცია...

საუბედუროდ, ამ მეთოდმა „გაამართლა“.

ჩვენ არ ვაპირებთ ამ მატჩის მომენტების აღწერას და ყოველ მომენტში მაინცდამაინც იმის გამოჩხრეკას, თუ როგორ მოარიდა ფეხი ამა თუ იმ ფეხბურთელმა ამა თუ იმ ორთაბრძოლას და როგორ შეეძლო ამა თუ იმ მეკარეს ამა თუ იმ ბურთის მოგერიება.

უბრალოდ, ჩვენ გვინდა, ვიცოდეთ სიმართლე და თუ დანაშაული არსებობს, დაისაჯოს დამნაშავე!

თუ არადა, დაველოდებით სათასო მატჩებს და...

იურიდიულად არა, მაგრამ მორალურად მაინც გვეცოდინება, ვინ ვინ არის...

**სარბიელელები**

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

| რუსთავი. 14 აპრილი. 16 საათი. ფოლადი | თბილისი. 14 აპრილი. 16 საათი. მ. მესხი |
|---|---|
| **ოლიმპი — ვიტ ჯორჯია** | **ლოკომოტივი — დინამო** |
| მსაჯები: გ. ვადაჭკორია, მ. ელიკაშვილი, ზ. ფიფია, პ. დოგრაშვილი | მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ზ. ჯვარიძე, ლ. თოდრია, მ. ბეუქლიშვილი |

*საპასუხო მატჩები 29 აპრილს გაიმართება*

---

10 აპრილი. 16 საათი
**ოლიმპი რუსთავი — ვიტ ჯორჯია თბილისი 1:3**
რუსთავი. ფოლადი. 500 მაყურებელი

0:1 რაზმაძე (11პ), 1:1 მეგრელაძე (15), 1:2 ბექვაია (56), 1:3 მელქაძე (75)

ოლიმპი: მ. ალავიძე, თ. ლონლაძე, გ. ონიანი, მაჭავარიანი, აკუასაგა (კაკულია 78), გ. სეთურიძე (ჩიკვილაძე 66), დობროვოლსკი, გ. დეკანოსიძე, ხუბუა, გ. ნოდ. ქელიძე, მეგრელაძე

*სათადარიგონი:* სტურუა, გ. ჩხეტიანი, გორდეზიანი

მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ბექვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე, ცქელაშვილი (ხურცილავა 46), გ. მელქაძე (მაისაშვილი 88), ბერიაშვილი (ვ. კვარაცხელია 46), ლიპარტია

*სათადარიგონი:* ა. მიქაბერიძე, მგელაძე, კვალინიძე, ზაქრაძე

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

გაფრთხილება: ალავიძე (11), ჯაფარიძე (62), ბექვაია (67), აკუასაგა (70), კვახაძე (79), ლიპარტია (88)

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; კ. გაბრიაძე, დ. სანოძე; ა. ნონიკაშვილი

---

10 აპრილი. 16 საათი
**სკ ზესტაფონი — დინამო თბილისი 0:4**
ზესტაფონი. ცენტრალური. 2 000 მაყურებელი

0:1 ჯიუსი (39), 0:2 კოშკაძე (52), 0:3, 0:4 ტომიჩი (70, 75)

ზესტაფონი: მამალაძე, უ. ლობჟანიძე, გ. ხიდეშელი, ს. თოდუა, მაკარიანი, დაუშვილი, ბენაშვილი (გორგიაშვილი 58), ძარია (იონანიძე 46), გ. ნუგ. ქელიძე (ნ. კვასხვაძე 55), შ. გრიგალაშვილი, ლ. მელქაძე

*სათადარიგონი:* რ. კვასხვაძე, კაკალაძე, კვესიეშვილი, ჭანკოტაძე

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე

დინამო: ოვონო, თომაშვილი, გ. კაშია, ნერგაძე, ხმალაძე, დილმელაშვილი, ტომიჩი, ნემსაძე, კოშკაძე (ლომია 82), გ. მერებაშვილი (სპასოევიჩი 83), ჯიუსი (აკირემი 80)

*სათადარიგონი:* ლორია, კაკუბავა, გველესიანი, ჯიშკარიანი

მწვრთნელი: კახა კაჭარავა

გაფრთხილება: ძარია (44), დაუშვილი (55), ტომიჩი (55)

მსაჯები: ლ. სილაგავა; ზ. ფიფია, გ. ყრუაშვილი; პ. დოგრაშვილი

---

10 აპრილი. 16 საათი
**ლოკომოტივი თბილისი — მგლები ზუგდიდი 1:1**
თბილისი. მ. მესხი. 100 მაყურებელი

0:1 ქედია (25), 1:1 მოდებაძე (51)

ლოკომოტივი: დ. ლომაია, ბებუა, გუმარაშვილი, მ. ლომიძე, ელიავა, ა. კობიაშვილი, დიაკვნიშვილი, წულაძე (გ. კვანტალიანი 89), სარალიძე, მებალიშვილი (შ. კვანტალიანი 46), გ. მოდებაძე (დ. ჩაგელიშვილი 65)

*სათადარიგონი:* ბელელური, ხუმარაშვილი, ლ. ჩაგელიშვილი, კაიშაური

მწვრთნელები: გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძე

მგლები: სომხიშვილი, ქითანავა, რ. ონიანი, აქუბარდია, რაქვიაშვილი, ქირია (მალიჩავა 72), ა. ბაჯელიძე (ინჯგია 60), პ. დათუნაიშვილი, გულორდავა, გ. თოდუა (ხურციძე 80), ქედია

*სათადარიგონი:* ქალდანი, ჯოჯუა, ხუხია, ბ. ნოზაძე

მწვრთნელი: ბესიკ შეროზია

გაფრთხილება: ონიანი (55), ქედია (65), წულაძე (70)

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, ი. მაჩიტიძე, ი. კაკაბაძე, ხ. გაგნიძე

---

11 აპრილი. 16 საათი
**სკ გაგრა — სიონი ბოლნისი 1:2**
თბილისი. ამერი. 300 მაყურებელი

0:1 ქელიძე (39), 1:1 ცხადაძე (54), 1:2 ბაჯელიძე (89)

გაგრა: თევდორაძე, კუპრეიშვილი (გაბუნია 46), კოზლენკო, გიგაური, ცხადაია, ტყეშელაშვილი, ჩარგეიშვილი (ფილია 46), შარიქაძე, გაბედავა, ოვონიკოკო (თუხარელი 78), ცხადაძე

*სათადარიგონი:* ხომერიკი, დ. ჩხაიძე, გედენიძე, მოსიაშვილი

მწვრთნელი: გოჩა ჩიქოვანი

სიონი: ქანტურია, ორბელაძე, დ. სვანიძე, ი. ვაშაკიძე, ქემოკლიძე, დიდავა (ლ. ბაჯელიძე 80), ზ. ქელიძე, გ. ხიდეშელი, ლ. სანიკიძე, მიკუჩაძე (დავითაშვილი 64), რ. გოცირიძე (ბობოხიძე 85)

*სათადარიგონი:* ბობლიაშვილი, რუსეიშვილი, ჯ. მუჯირი, შალამბერიძე

მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე

მსაჯები: ო. ხეცაძე, შ. ქუხილავა, ო. მოლოდინაშვილი, ი. ურუშაძე

---

11 აპრილი. 16 საათი
**სპარტაკი ცხინვალი — სკ ბორჯომი 2:0**
გორი. ქართლი. 80 მაყურებელი

1:0 ჯანგიძე (6), 2:0 მეტრეველი (8)

სპარტაკი: კოდალაევი, გ. თურმანიძე, გ. კვახაძე, შ. ლონლაძე, ქორიძე, ავალიანი (მაისურაძე 86), ჯანგიძე (ჩივაძე 46), შონია, შ. ჯიქია, მეტრეველი (გ. გაბელაია 88), ხირბილაძე

მწვრთნელი: სერგო გაბელაია

ბორჯომი: შეყრილაძე, მენთეხაშვილი, ლომიძე, საჩიძე, მანთიძე (გოგოლაძე 46), ზ. ლობჟანიძე, ბაქრაძე, დევიძე (ქათამაძე 72), დათუნაშვილი (ლაბაძე 58), ი. კიკნაძე, პაველიაშვილი

მწვრთნელი: ჯუნგლი ქართველიშვილი

გაფრთხილება: კიკნაძე (56)

მსაჯები: მ. ურუშაძე, ზ. ბერულავა, ა. კოკაია, კ. ჭაჭუა

# საქართველოს ჩემპიონატი 20

უმაღლესი ლიგა

27 ტური



სარბიელის არქივიდან

## დინამოელებმა ფერო შეიფერეს

**ზესტაფონი 0:4 დინამო**

**თბილისის** „დინამომ" უმნიშვნელოვანესი სამი ქულა წამოიღო იმერეთიდან და თან ისე, რომ მოგება ეჭვქვეშ არ დაუყენებია.

თამაში დინამოელთა უპირატესობით დაიწყო და პირველი მომენტი კამერუნელ დონალდ ჯიუსს ჰქონდა, მაგრამ კარში დარტყმა ვერ შეძლო.

ამას ზესტაფონელებმა ექსდინამოელი შოთა გრიგალაშვილის დარტყმითლა უპასუხეს და მერე დედაქალაქელთა ჯერიც დადგა...

კახა კაჭარავას შეგირდები უფრო მხნედ გამოიყურებოდნენ, „ზესტაფონი" კი რატომღაც მოდუნებული ჩანდა და აკი დაისაჯა.

39-ე წუთზე დავით დიღმელაშვილის პასს ჯიუსმა სწორი გაგრძელება მოუძებნა და ერთი შეხებით გადაგზავნა ზურაბ მამალაძის კარში — 0:1.

ტრადიციულად, „დინამოს" „ზესტაფონთან" და, მით უმეტეს, სტუმრად, ყოველთვის უჭირდა ხოლმე თამაში, თუმცა ეს დღე აშკარა გამონაკლისი იყო. შეიძლება ითქვას, „დინამომ" ყველა კომპონენტში დაჯაბნა ამბიციური მეტოქე.

მეორე ტაიმიც თბილისელთა უპირატესობით დაიწყო და 52-ე წუთზე ალექსანდრე კოშკაძემ შეძლო თავის გამოჩენა, რასაც 70-ე და 75-ე წუთებზე ჩერნოგორიელმა დანილო ტომიჩმა დუბლი შეაშველა და საბოლოოდ, სენსაციური 0:4 გამოცხვა.

ეს იყო „ზესტაფონის" ბოლო შანსი, მესამეზე უკეთესი ადგილისთვის ებრძოლა. ახლა კი იმერლებს რუსთავის „ოლიმპთან" დარჩათ გასარკვევი, ვის დარჩება „ბრინჯაო".

აი, რა კომენტარები გააკეთეს ნამატჩევს დინამოელებმა, რომლებიც ოდენ ქულით ჩამორჩებიან ლიდერ „ვიტ ჯორჯიას"...

*ალექსანდრე კოშკაძე:* „ჩემი პირველი გოლი გავიტანე „დინამოში", რამაც ძალიან გამახარა. დიდი მადლობა მინდა, ვუთხრა ბიჭებს ბრძოლისთვის. მწვრთნელის დავალება შევასრულეთ. მჯერა, ჩემპიონებიც გავხდებით და თასსაც ავიღებთ".

*ვაკა ნემსაძე:* „კარგი თამაში იყო. ვიბრძოლეთ და ბოლომდე დავიხარჯეთ. ჩემი აზრით, მატჩის ბედი მესამე გოლმა გადაწყვიტა".

*დონალდ ჯიუსი:* „თავიდან თამაში არ წამივიდა, თუმცა შემდეგ შევეჩვიე მოედნის სველ საფარს. მინდა, ჩემი გოლი მთელ გუნდს და ასევე ტრავმირებულ თანაგუნდელებს მივუძღვნა".

*ოლეგ გველესიანი:* „ძალიან კარგი თამაში გამოვიდა. ყველამ ბოლომდე იბრძოლა, რამაც შედეგი გამოიღო. ვულოცავ ყველას, ვისაც „დინამოს" გამარჯვება გაუხარდა".

**ოთარ მხეიძე**

## გაგრელთა მიზანს ბოლნისლი ჩამოაწვა

**გაგრა 1:2 სიონი**

**ვის** სჭირდებოდა ამ მატჩში მოგება და, რა თქმა უნდა, უპირველესად „გაგრას". უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მებრძოლმა გაგრელებმა ამ წაგებით ძალიან გაირთულეს საქმე და ეს პირველ რიგში საკუთარ თავს უნდა დააბრალონ.

ბოლნისელთა სასახელოდ კი, უნდა ვთქვათ, რომ თავი არ დაუზოგავთ და სამი ქულაც გაიყოლეს შინ.

ვერ ვიტყვით, რომ პირველ ტაიმში მასპინძლებს რაიმე უპირატესობა ჰქონდათ. პირიქით, „სიონი" უფრო ყიჩად გამოიყურებოდა და მწვავედაც იჩხვლიტებოდა.

პირველი გოლი 39-ე წუთზე გავიდა — გიორგი ხიდეშელის ჩაწოდებულს ზაზა ჭელიძემ დაუხვედრა შედეგიანად თავი — 0:1.

მეორე ტაიმი „გაგრამ" უფრო ფხიანად დაიწყო და 54-ე წუთზე ანგარიშიც გაათანაბრა. ბაჩანა ცხადაძემ ეფექტურად, ვარდნაში შეძლო გატანა და ისე ემოციურად მიულოცეს თანაგუნდელებმა, რომ მაისურა შემოახიეს.

ამ ეპიზოდზე ოდნავ შევჩერდებით: რა თქმა უნდა, ცხადაძე გახეული მაისურით ვერ გააგრძელებდა თამაშს და გაგრელებმაც უნიკალური მეთოდი მოიფიქრეს — ლეიკოპლასტირით აუკინძეს ფორმა.

მასპინძლებს ამის მერეც ჰქონდათ შანსი, მაგრამ გრიგოლ ჭანტურიას ვერაფერი მოუხერხეს — „სიონის" გამოცდილმა მეკარემ რამდენიმე ეპიზოდში იყოჩაღა.

საქმე თითქოს 1:1-ისკენ მიდიოდა და ამ დროს გამოიღეს ხელი ბოლნისელებმა — შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელებმა, მიხეილ ბობოხიძემ და ლევან ბაჯელიძემ მარტივი ორსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და 1:2.

და ბოლოს: „გაგრას" მწვრთნელი ოფიციალურად გოჩა ჩიქოვანია, რადგან უკრაინელ ვიქტორ კაშჩეის შესაბამისი ლიცენზია არ გააჩნია, თუმცა, ფაქტობრივად, გუნდს მაინც ის ხელმძღვანელობს...



www.fcgagra.ge

**კახა შალამბერიძე**

## უმოტივაციოთა ტოლ-სწორობა

**ლოკომოტივი 1:1 მგლები**

**ამ** გუნდებს საამსეზონო ამოცანა უკვე შესრულებული აქვთ — არც გავარდნა ემუქრებათ და არც წინ წასვლა შეუძლიათ სატურნირო ცხრილში.

ერთადერთი, „ლოკომოტივი" თასის ნახევარფინალშია და თავის თავს თუ გადააჭტა, ეგებ რაღაც გამოუვიდეს, თუმცა ეს ძალიან ძნელი რომ იქნება, ფაქტია.

შეხვედრა ზუგდიდელთა მცირე უპირატესობით წარიმართა. მომენტებიც მათ უფრო მეტი ჰქონდათ, თუმცა უეჭველად უნდა მოეგოთო, ვერ ვიტყვით. ასეა თუ ისე, ფრე მაინც ლოგიკური შედეგი გვგონია.

ყველაზე მეტი ხიფათი „ლოკომოტივს" გია თოდუამ და გიორგი ჭედიამ შეუქმნეს. მათ გამოძერწეს მატჩის პირველი გოლიც — თოდუას პასით ჭედიამ იხეირა.

ეს 25-ე წუთზე მოხდა...

მასპინძლებმა მეორე ტაიმში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება: შეცვლაზე შესულმა შალვა კვანტალიანმა გიორგი მოდებაძე მეკარეს პირისპირ შეატოვა და 1:1.

მეტოქეებს ამის შემდეგაც შეეძლოთ გოლის გატანა, თუმცა სიზუსტე ღალატობდათ. ყველაზე ახლოს კი მიზანთან დავით ჩაგელიშვილი იყო, რომლის თავურს გიორგი სომხიშვილი ვლარაფერს მოუხერხებდა, ბურთი კარისკენ რომ წასულიყო.

საბოლოოდ, გუნდები თითო ქულით დაშორდნენ ერთმანეთს...

**კახა შალამბერიძე**



სარბიელის არქივიდან

გიორგი კიკნაძის მთავარი საფიქრალი თასია

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ვიტ ჯორჯია | 25 | 16 | 8 | 1 | 43:14 | 29 | 56 | 12 | 7 | 4 | 1 | 21:8 | 13 | 25 | 13 | 9 | 4 | 0 | 22:6 | 16 | 31 |
| 2 დინამო | 25 | 17 | 4 | 4 | 54:18 | 36 | 55 | 12 | 10 | 2 | 0 | 34:10 | 24 | 32 | 13 | 7 | 2 | 4 | 20:8 | 12 | 23 |
| 3 ზესტაფონი | 24 | 13 | 4 | 7 | 29:19 | 10 | 43 | 12 | 8 | 0 | 4 | 18:10 | 8 | 24 | 12 | 5 | 4 | 3 | 11:9 | 2 | 19 |
| 4 ოლიმპი | 24 | 11 | 9 | 4 | 27:16 | 11 | 42 | 12 | 6 | 5 | 1 | 14:5 | 9 | 23 | 12 | 5 | 4 | 3 | 13:11 | 2 | 19 |
| 5 სიონი | 25 | 10 | 9 | 6 | 28:21 | 7 | 39 | 12 | 4 | 5 | 3 | 14:10 | 4 | 17 | 13 | 6 | 4 | 3 | 14:11 | 3 | 22 |
| 6 ლოკომოტივი | 24 | 8 | 6 | 10 | 26:25 | 1 | 30 | 13 | 5 | 3 | 5 | 13:9 | 4 | 18 | 11 | 3 | 3 | 5 | 13:16 | -3 | 12 |
| 7 მგლები | 25 | 8 | 6 | 11 | 29:31 | -2 | 30 | 13 | 7 | 1 | 5 | 19:10 | 9 | 22 | 12 | 1 | 5 | 6 | 10:21 | -11 | 8 |
| 8 მესხეთი | 24 | 5 | 8 | 11 | 15:31 | -16 | 23 | 11 | 4 | 3 | 4 | 10:11 | -1 | 13 | 13 | 2 | 4 | 7 | 5:20 | -15 | 10 |
| 9 გაგრა | 25 | 5 | 6 | 14 | 19:40 | -21 | 21 | 13 | 4 | 4 | 5 | 14:17 | -3 | 16 | 12 | 1 | 2 | 9 | 5:23 | -18 | 5 |
| 10 სპარტაკი | 24 | 4 | 6 | 14 | 23:49 | -16 | 18 | 12 | 2 | 4 | 6 | 12:18 | -6 | 10 | 12 | 2 | 2 | 8 | 11:21 | -10 | 8 |
| 11 ბორჯომი | 25 | 2 | 6 | 17 | 18:57 | -39 | 12 | 13 | 1 | 4 | 8 | 10:24 | -14 | 7 | 12 | 1 | 2 | 9 | 8:38 | -25 | 5 |

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 13 — | გიორგი მერებაშვილი | დინამო |
| | ნიკა გელაშვილი | ზესტაფონი |
| 10 — | მათე ვაწაძე | დინამო |
| | გია თოდუა | მგლები |

### XXVIII ტური

17 აპრილი. პარასკევი

მგლები – ოლიმპი

ბორჯომი – ლოკომოტივი

დინამო – მესხეთი

გაგრა – სპარტაკი

ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი

18 აპრილი. შაბათი

*სიონი ისვენებს*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უეფამ ცხრილი გამოფინა

**წლევანდელი** ევროსეზონი დასასრულისკენ მიდის და უეფამაც ახალი საკლუბო რეიტინგი გამოაქვეყნა.

ბუნებრივია, სანამ ჩემპიონთა ლიგა და უეფას თასი არ დასრულდება, ცხრილი საბოლოო სახეს ვერ მიიღებს, თუმცა ისიც ვთქვათ, რომ ძირეული ცვლილებები აღარ მოხდება. მით უმეტეს, ქართული კლუბებისთვის...

განმარტებანი: მომავალ ევროსეზონში კლუბები საკუთარი რეიტინგის მიხედვით განითესებიან — ესაა ბოლო 5 სეზონში დაგროვილი ქულების ჯამს დამატებული ქვეყნის რეიტინგის 20 პროცენტი (ადრე 33 პროცენტი იყო).

თუ კლუბს არ გააჩნია რეიტინგი, მას ერიცხება ქვეყნის კოეფიციენტის 20 პროცენტი.

და კიდევ: საკვალიფიკაციო ეტაპებზე აღებული ქულები კლუბებს არ ეთვლებათ.

ქვეყნებს შორის საქართველო 36-ე ადგილზეა, კლუბებში კი თბილისის „დინამო" — 198-ეზე.

ცხრილში ნაჩვენებია მიმდინარე სეზონის და მთლიანი მაჩვენებლები.

**ქახა ზალამბერიძე**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისი | 2.6000 | 15.499 |
| ესპანეთი | 2.4875 | 14.678 |
| იტალია | 2.2500 | 12.556 |
| გერმანია | 2.3125 | 11.114 |
| საფრანგეთი | 2.2000 | 10.033 |
| რუსეთი | 1.9500 | 9.525 |
| ჰოლანდია | 1.2665 | 7.825 |
| რუმინეთი | 0.5285 | 7.781 |
| უკრაინა | 2.6750 | 7.720 |
| პორტუგალია | 1.3570 | 7.292 |
| თურქეთი | 1.4000 | 6.445 |
| საბერძნეთი | 1.3000 | 5.632 |
| შოტლანდია | 0.3750 | 5.575 |
| ბელგია | 0.9000 | 5.065 |
| შვეიცარია | 0.5800 | 5.050 |
| დანია | 1.6400 | 4.890 |
| ბულგარეთი | 0.4500 | 4.250 |
| ჩეხეთი | 0.4750 | 4.150 |
| ნორვეგია | 0.5000 | 3.760 |
| ავსტრია | 0.4500 | 3.565 |
| სერბეთი | 0.6000 | 3.050 |
| ისრაელი | 0.3500 | 3.050 |
| კვიპროსი | 1.2665 | 3.016 |
| შვედეთი | 0.5000 | 2.938 |
| სლოვაკეთი | 0.9665 | 2.932 |
| პოლონეთი | 1.0000 | 2.583 |
| ხორვატია | 0.8665 | 2.466 |
| ფინეთი | 0.3665 | 1.957 |
| ლიტვა | 0.5000 | 1.933 |
| ირლანდია | 0.5000 | 1.899 |
| ლატვია | 0.2330 | 1.832 |
| სლოვენია | 0.2665 | 1.816 |
| ბელარუსი | 0.8000 | 1.733 |
| ბოსნია | 0.3665 | 1.732 |
| უნგრეთი | 0.2000 | 1.633 |
| საქართველო | 0.2330 | 1.332 |
| ისლანდია | 0.2330 | 1.332 |
| მოლდოვა | 0.1330 | 1.332 |
| ლიხტენშტეინი | - | 1.100 |
| მაკედონია | 0.1000 | 1.032 |
| აზერბაიჯანი | 0.1330 | 0.899 |
| ესტონეთი | 0.0665 | 0.866 |
| ალბანეთი | 0.1330 | 0.799 |
| ყაზახეთი | 0.1665 | 0.649 |
| სომხეთი | - | 0.599 |
| უელსი | 0.0665 | 0.465 |
| ჩ. ირლანდია | 0.0665 | 0.432 |
| ფარერები | 0.0665 | 0.432 |
| ლუქსემბურგი | - | 0.266 |
| ჩერნოგორია | 0.1000 | 0.200 |
| ანდორა | - | 0.100 |
| მალტა | - | 0.099 |
| სან მარინო | - | 0.050 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | ლივერპული | ინგლისი | 21.6000 | 117.499 |
| 2 | ბარსელონა | ესპანეთი | 21.4875 | 114.678 |
| 3 | ჩელსი | ინგლისი | 20.6000 | 114.499 |
| 4 | მილანი | იტალია | 14.2500 | 110.556 |
| 5 | მანჩესტერი | ინგლისი | 19.6000 | 103.499 |
| | არსენალი | ინგლისი | 18.6000 | 103.499 |
| 7 | სევილია | ესპანეთი | 10.4875 | 103.499 |
| 8 | ბაიერნი | გერმანია | 21.3125 | 97.114 |
| 9 | ლიონი | საფრანგეთი | 15.2000 | 91.033 |
| 10 | ინტერი | იტალია | 13.2500 | 87.556 |
| 11 | ვერდერი | გერმანია | 19.3125 | 86.114 |
| 12 | ვილიარეალი | ესპანეთი | 18.4875 | 80.678 |
| 13 | რეალი | ესპანეთი | 14.4875 | 78.678 |
| 14 | რომა | იტალია | 16.2500 | 78.556 |
| 15 | პსვ | ჰოლანდია | 6.2665 | 75.825 |
| 16 | ცსკა | რუსეთი | 18.9500 | 71.525 |
| 17 | ზენიტი | რუსეთი | 14.9500 | 68.525 |
| 18 | პორტუ | პორტუგალია | 17.3570 | 68.292 |
| | სპორტინგი | პორტუგალია | 13.3570 | 68.292 |
| 20 | ალკმაარი | ჰოლანდია | 1.2665 | 64.825 |
| 21 | შახტარი | უკრაინა | 19.6750 | 64.720 |
| 22 | ბენფიკა | პორტუგალია | 4.3570 | 64.292 |
| 23 | ჰამბურგი | გერმანია | 21.3125 | 64.114 |
| 24 | იუვენტუსი | იტალია | 16.2500 | 63.556 |
| 25 | შალკე | გერმანია | 8.3125 | 63.114 |
| 26 | ვალენსია | ესპანეთი | 13.4875 | 59.678 |
| 27 | პანათინაიკოსი | საბერძნეთი | 13.3000 | 56.632 |
| 28 | რეინჯერსი | შოტლანდია | 0.3750 | 56.575 |
| 29 | ტოტენჰემი | ინგლისი | 11.6000 | 55.499 |
| 30 | აიაქსი | ჰოლანდია | 14.2665 | 54.825 |
| 31 | ნიუკასლი | ინგლისი | 2.6000 | 54.499 |
| 32 | სტიაუა | რუმინეთი | 4.5285 | 53.781 |
| 33 | ესპანიოლი | ესპანეთი | 2.4875 | 52.678 |
| 34 | ოლიმპიაკოსი | საბერძნეთი | 9.3000 | 52.632 |
| 35 | ფენერბაჩე | თურქეთი | 6.4000 | 52.445 |
| 36 | ლევერკუზენი | გერმანია | 2.3125 | 51.114 |
| 37 | ბაზელი | შვეიცარია | 4.5800 | 51.050 |
| 38 | მიდლსბრო | ინგლისი | 2.6000 | 48.499 |
| 39 | მარსელი | საფრანგეთი | 14.2000 | 48.033 |
| 40 | ლილი | საფრანგეთი | 2.2000 | 47.033 |
| 41 | პსჟ | საფრანგეთი | 18.2000 | 46.033 |
| 42 | შტუტგარტი | გერმანია | 10.3125 | 45.114 |
| 43 | ფიორენტინა | იტალია | 11.2500 | 42.556 |
| 44 | დინამო | უკრაინა | 17.6750 | 41.720 |
| 45 | ატლეტიკო | ესპანეთი | 17.4875 | 41.678 |
| 46 | სელტიკი | შოტლანდია | 7.3750 | 40.575 |
| 47 | პარმა | იტალია | 2.2500 | 40.556 |
| 48 | ბორდო | საფრანგეთი | 11.2000 | 40.033 |
| 49 | უდინეზე | იტალია | 16.2500 | 39.556 |
| 50 | ბრაგა | პორტუგალია | 13.3570 | 39.292 |
| 51 | ბოლტონი | ინგლისი | 2.6000 | 37.499 |
| 52 | რაპიდი | რუმინეთი | 1.5285 | 36.781 |
| 53 | ოსასუნა | ესპანეთი | 2.4875 | 36.678 |
| 54 | პალერმო | იტალია | 2.2500 | 35.556 |
| 55 | ევერტონი | ინგლისი | 3.6000 | 35.499 |
| 56 | ოსერი | საფრანგეთი | 2.2000 | 35.033 |
| 57 | სპარტაკი | რუსეთი | 7.9500 | 34.525 |
| 58 | ბრიუგე | ბელგია | 6.9000 | 34.065 |
| 59 | ჰერენვენი | ჰოლანდია | 4.2665 | 33.825 |
| 60 | გალათასარაი | თურქეთი | 15.4000 | 33.445 |
| 61 | მონაკო | საფრანგეთი | 2.2000 | 33.033 |
| 62 | ხეტაფე | ესპანეთი | 2.4875 | 32.678 |
| 63 | ბეშიქთაში | თურქეთი | 3.4000 | 32.445 |
| 64 | ანდერლეხტი | ბელგია | 0.9000 | 32.065 |
| 65 | ლანსი | საფრანგეთი | 2.2000 | 32.033 |
| 66 | სარაგოსა | ესპანეთი | 2.4875 | 31.678 |
| 67 | აუსტრია | ავსტრია | 2.4500 | 31.565 |
| 68 | სამპდორია | იტალია | 11.2500 | 30.556 |
| 69 | სიტი | ინგლისი | 17.6000 | 30.499 |
| 70 | როზენბორგი | ნორვეგია | 6.5000 | 28.760 |
| 71 | ბლექბერნი | ინგლისი | 2.6000 | 28.499 |
| 72 | კოპენჰაგენი | დანია | 9.6400 | 26.890 |
| 73 | დეპორტივო | ესპანეთი | 9.4875 | 26.678 |
| 74 | ლაციო | იტალია | 2.2500 | 26.556 |
| 75 | ლოკომოტივი | რუსეთი | 1.9500 | 26.525 |
| 76 | სპარტა | ჩეხეთი | 2.4750 | 26.150 |
| 77 | ჰერტა | გერმანია | 7.3125 | 26.114 |
| 78 | ფეიენოორდი | ჰოლანდია | 3.2665 | 25.825 |
| 79 | დინამო | რუმინეთი | 1.5285 | 25.781 |
| 80 | სელტა | ესპანეთი | 2.4875 | 25.678 |
| | ბეტისი | ესპანეთი | 2.4875 | 25.678 |
| 82 | აეკ | საბერძნეთი | 1.3000 | 25.632 |
| 83 | სლავია | ჩეხეთი | 4.4750 | 25.150 |
| 84 | სენტ ეტიენი | საფრანგეთი | 17.2000 | 25.033 |
| | ნანსი | საფრანგეთი | 9.2000 | 25.033 |
| 86 | ოლბორგი | დანია | 15.6400 | 24.890 |
| 87 | ლევსკი | ბულგარეთი | 1.4500 | 24.250 |
| 88 | სტრასბური | საფრანგეთი | 2.2000 | 24.033 |
| 89 | მეტალისტი | უკრაინა | 17.6750 | 23.720 |
| | დნეპრი | უკრაინა | 2.6750 | 23.720 |
| 91 | ბილბაო | ესპანეთი | 2.4875 | 23.678 |
| 92 | ასტონ ვილა | ინგლისი | 10.6000 | 23.499 |
| 93 | პარტიზანი | სერბეთი | 4.6000 | 23.050 |
| 94 | რასინგი | ესპანეთი | 10.4875 | 22.678 |
| 95 | სოშო | საფრანგეთი | 2.2000 | 22.033 |
| 96 | პორტსმუთი | ინგლისი | 8.6000 | 21.499 |
| 97 | ვოლფსბურგი | გერმანია | 12.3125 | 21.114 |
| 98 | სტანდარდი | ბელგია | 10.9000 | 21.065 |
| 99 | ლივორნო | იტალია | 2.2500 | 20.556 |
| 100 | ალემანია | გერმანია | 2.3125 | 20.114 |
| 101 | ნიურნბერგი | გერმანია | 2.3125 | 19.114 |
| 102 | რენი | საფრანგეთი | 4.2000 | 19.033 |
| 103 | ჰაპოელი თ. ა. | ისრაელი | 0.3500 | 18.050 |
| 104 | ტვენტე | ჰოლანდია | 9.2665 | 17.825 |
| 105 | აინტრახტი | გერმანია | 2.3125 | 17.114 |
| 106 | მაკაბი | ისრაელი | 0.3500 | 17.050 |
| 107 | მილუოლი | ინგლისი | 2.6000 | 16.499 |
| 108 | დინამო | ხორვატია | 4.8665 | 16.466 |
| 109 | ლიტექსი | ბულგარეთი | 1.4500 | 16.250 |
| 110 | ნაიმეგენი | ჰოლანდია | 8.2665 | 14.825 |
| 111 | პანიონიოსი | საბერძნეთი | 1.3000 | 14.632 |
| 112 | ნაპოლი | იტალია | 4.2500 | 14.556 |
| | ემპოლი | იტალია | 2.2500 | 14.556 |
| | კიევო | იტალია | 2.2500 | 14.556 |
| 115 | ცსკა | ბულგარეთი | 0.4500 | 14.250 |
| 116 | ციურიხი | შვეიცარია | 0.5800 | 14.050 |
| 117 | ტულუზა | საფრანგეთი | 2.2000 | 14.033 |
| 118 | კლუჟი | რუმინეთი | 6.5285 | 13.781 |
| 119 | გიმარაეში | პორტუგალია | 2.3570 | 13.292 |
| 120 | ბოლესლავი | ჩეხეთი | 0.4750 | 13.150 |
| 121 | დორტმუნდი | გერმანია | 4.3125 | 13.114 |
| | ბოხუმი | გერმანია | 2.3125 | 13.114 |
| 123 | თუნი | შვეიცარია | 0.5800 | 13.050 |
| 124 | ოდენსე | დანია | 1.6400 | 12.890 |
| 125 | არისი | საბერძნეთი | 1.3000 | 12.632 |
| 126 | სლოვანი | ჩეხეთი | 0.4750 | 12.150 |
| 127 | მაინცი | გერმანია | 2.3125 | 12.114 |
| 128 | ცრვენა ზვეზდა | სერბეთი | 0.6000 | 12.050 |
| | გრასჰოპერი | შვეიცარია | 0.5800 | 12.050 |
| 130 | ანორთოსისი | კვიპროსი | 9.2665 | 12.016 |
| 131 | არტმედია | სლოვაკეთი | 0.9665 | 11.932 |
| 132 | გრონინგენი | ჰოლანდია | 1.2665 | 11.825 |
| 133 | აბერდინი | შოტლანდია | 0.3750 | 11.575 |
| | ჰართსი | შოტლანდია | 0.3750 | 11.575 |
| 135 | შტურმი | ავსტრია | 0.4500 | 11.565 |
| 136 | კრილია | რუსეთი | 1.9500 | 11.525 |
| 137 | ზულტე-ვარეგემი | ბელგია | 0.9000 | 11.065 |
| 138 | ბრონდბიუ | დანია | 1.6400 | 10.890 |
| 139 | ბრანი | ნორვეგია | 2.5000 | 10.760 |
| 140 | მოსკვა | რუსეთი | 2.9500 | 10.525 |
| | ტერეკი | რუსეთი | 1.9500 | 10.525 |
| 142 | ტრაბზონი | თურქეთი | 1.4000 | 10.445 |
| 143 | სეტუბალი | პორტუგალია | 2.3570 | 10.292 |
| 144 | ჰელსინგბორგი | შვედეთი | 0.5000 | 9.938 |
| 145 | უტრეხტი | ჰოლანდია | 1.2665 | 9.825 |
| 146 | ვასლუი | რუმინეთი | 2.5285 | 9.781 |
| 147 | მ. დონეცკი | უკრაინა | 2.6750 | 9.720 |
| 148 | პაოკ | საბერძნეთი | 1.3000 | 9.632 |
| | ეგალეო | საბერძნეთი | 1.3000 | 9.632 |
| 150 | ლეხი | პოლონეთი | 8.0000 | 9.583 |
| | ვისლა | პოლონეთი | 2.0000 | 9.583 |
| 152 | მარიტიმუ | პორტუგალია | 1.3570 | 9.292 |
| | ლეირია | პორტუგალია | 1.3570 | 9.292 |
| 154 | მ. თელ ავივი | ისრაელი | 0.3500 | 9.050 |
| 155 | ჟილინა | სლოვაკეთი | 6.9665 | 8.932 |
| 156 | უნირია | რუმინეთი | 1.5285 | 8.781 |
| 157 | ვიკინგი | ნორვეგია | 0.5000 | 8.760 |
| | ტრომსო | ნორვეგია | 0.5000 | 8.760 |
| 159 | მ. ზაპოროჟიე | უკრაინა | 2.6750 | 8.720 |
| 160 | რაპიდი | ავსტრია | 0.4500 | 8.565 |
| 161 | ქაისერი | თურქეთი | 2.4000 | 8.445 |
| 162 | ფერეირა | პორტუგალია | 1.3570 | 8.292 |
| 163 | ლოკომოტივი | ბულგარეთი | 0.4500 | 8.250 |
| 164 | ბანიკი | ჩეხეთი | 1.4750 | 8.150 |
| 165 | ბევერენი | ბელგია | 0.9000 | 8.065 |
| 166 | სიონი | შვეიცარია | 0.5800 | 8.050 |
| 167 | ბატე | ბელარუსი | 6.8000 | 7.733 |
| 168 | ფერენცვაროში | უნგრეთი | 0.2000 | 7.633 |
| 169 | ლარისა | საბერძნეთი | 1.3000 | 7.632 |
| | ირაკლისი | საბერძნეთი | 1.3000 | 7.632 |
| 171 | გენჩლერი | თურქეთი | 1.4000 | 7.445 |
| 172 | ბეერსხოტი | ბელგია | 0.9000 | 7.065 |
| 173 | ელფსბორგი | შვედეთი | 0.5000 | 6.938 |
| 174 | ქსანთი | საბერძნეთი | 1.3000 | 6.632 |
| 175 | ჰიბერნიანი | შოტლანდია | 0.3750 | 6.575 |
| 176 | ზალცბურგი | ავსტრია | 0.4500 | 6.565 |
| 177 | გენკი | ბელგია | 0.9000 | 6.065 |
| 178 | იანგ ბოისი | შვეიცარია | 1.5800 | 6.050 |
| 179 | ამიკა | პოლონეთი | 1.0000 | 5.583 |
| 180 | ჩერნო მორე | ბულგარეთი | 1.4500 | 5.250 |
| 181 | ტეპლიცე | ჩეხეთი | 0.4750 | 5.150 |
| 182 | მაკაბი ფ. თ. | ისრაელი | 0.3500 | 5.050 |
| 183 | კალმარი | შვედეთი | 2.5000 | 4.938 |
| | იურგორდენი | შვედეთი | 0.5000 | 4.938 |
| | ჰამარბი | შვედეთი | 0.5000 | 4.938 |
| | მალმიო | შვედეთი | 0.5000 | 4.938 |
| | ჰალმსტადი | შვედეთი | 0.5000 | 4.938 |
| 188 | ვოლერენგა | ნორვეგია | 0.5000 | 4.760 |
| | მოლდე | ნორვეგია | 0.5000 | 4.760 |
| | ბოდიო გლიმტი | ნორვეგია | 0.5000 | 4.760 |
| 191 | აპოელ | კვიპროსი | 2.2665 | 4.016 |
| | ეთნიკოსი | კვიპროსი | 1.2665 | 4.016 |
| 193 | აიკ | შვედეთი | 0.5000 | 3.938 |
| 194 | რუჟომბეროკი | სლოვაკეთი | 0.9665 | 3.932 |
| 195 | დომჟალე | სლოვენია | 0.2665 | 3.816 |
| 196 | ლეგია | პოლონეთი | 1.0000 | 3.583 |
| | გროცლინი | პოლონეთი | 1.0000 | 3.583 |
| 198 | დინამო | საქართველო | 0.2330 | 3.332 |
| 199 | ტამპერე | ფინეთი | 0.3665 | 2.957 |
| | მიუპა | ფინეთი | 0.3665 | 2.957 |
| 201 | სტ. პატრიკსი | ირლანდია | 1.5000 | 2.899 |
| | დერი | ირლანდია | 0.5000 | 2.899 |
| | შელბურნი | ირლანდია | 0.5000 | 2.899 |
| 204 | ვენტსპილსი | ლატვია | 0.2330 | 2.832 |
| 205 | ნოვა გორიცა | სლოვენია | 0.2665 | 2.816 |
| | მარიბორი | სლოვენია | 0.2665 | 2.816 |
| 207 | ჰაფნარფიორდური | ისლანდია | 0.2330 | 2.332 |
| 208 | რაბოტნიჩკი | მაკედონია | 0.1000 | 2.032 |



# ფედერ–აქცია! ახალკაცს ვადა 30 აპრილამდე მისცეს

**8 აპრილს** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შენობასთან საპროტესტო აქცია გაიმართა.

ვერ ვიტყვით, რომ აქცია ხალხმრავალი გახლდათ, თუმცა, ვფიქრობთ, ეს მაინც მნიშვნელოვანი ამბავი იყო. საქართველოს ეროვნული ნაკრების მიერ ბოლო ხანებში ნაჩვენებმა შედეგმა ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანა და...

უბრალო ქომაგების გარდა ფედერაციის შენობასთან „ჩვენი ფეხბურთის“ ლიდერები, ლევან ყიფიანი და გოჩა ჯამარაული, ქომაგთა ლიგის ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ პეტრიაშვილი და ნაკრების ფან-კლუბის თავკაცი ლაშა ჭეიშვილი მივიდნენ.

აქციის მონაწილეებმა თავიდან მეგაფონით გაახმოვანეს თავიანთი მოთხოვნები, რომელთა შორის უმთავრესი იყო ნოდარ ახალკაცის უპირობო გადადგომა და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა. მერე კი სფფ-ის გენერალურ მდივან რევაზ არველაძისა და ვიცე-პრეზიდენტ უჩა უგულავას მიპატიჟებით მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ და იქ გააგრძელეს საუბარი.

მოკლედ, მხარეები საბოლოოდ ასე შეთანხმდნენ: ფედერაციას 30 აპრილამდე მიეცა ვადა. ამ დროში უნდა ითქვას, გადადგება თუ არა ახალკაცი და დაინიშნება თუ არა რიგგარეშე არჩევნები...

**ოთარ მხეიძე**

# ჰექტორ კუპერის ცხელი ზაფხული

## მოლდოვა, ალბანეთი, მალტა, ისლანდია



**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრებისთვის კიდევ სამი ამხანაგური მატჩი დაგეგმა.

სფფ-ის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, 10 ივნისს ჩვენი ნაკრები ალბანეთს ესტუმრება, 12 აგვისტოს მალტაში ჩავა, ხოლო 9 სექტემბერს ასევე სტუმრად გაეჯიბრება ისლანდიას.

შეგახსენებთ, რომ კიდევ ერთი ამხანაგური შეხვედრა ფედერაციამ ადრევე დაგეგმა — 6 ივნისს შინ მოლდოვასთან.

ასე რომ, ჰექტორ რაულ კუპერს წინ ცხელი ზაფხული ელის...

**კახა შალამბერიძე**

# ცხადაძეს კიდევ ორი დაუგეგმეს

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრები წლეულს კიდევ სამ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, 10 ივნისს კახა ცხადაძის გუნდი ალბანეთს ეწვევა, 12 აგვისტოს კი ლიტვაში ჩავა.

აქამდე გადაწყვეტილი იყო მოლდოვის ახალგაზრდულ ნაკრებთან თამაშიც: ეს შეხვედრა 6 ივნისს თბილისში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ცხადაძის ხელმძღვანელობით ქართველმა 21-წლამდელებმა უკვე ორი ამხანაგური მოიგეს — 1:1 სტუმრად კვიპროსთან და 0:1 შინ ბელარუსთან.

**კახა შალამბერიძე**

# საქართველო 109

FIFA Coca-Cola WORLD RANKING

ფიფა-„კოკა-კოლას“ რეიტინგი დიდი პოპულარობით ვერ სარგებლობს, თუმცა ფაქტია, ის არის ერთადერთი ოფიციალური და ყველასთვის მაინც საინტერესო რეიტინგი მსოფლიო ფეხბურთში...

მკითხველთა თხოვნით, გთავაზობთ 2009 წლის აპრილის სრულ ვერსიას, რომელშიც საქართველომ რატომღაც ორი საფეხურით აიწია და ახლა 109-ე ადგილზეა...

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | ესპანეთი | 1729 | 70 | 70 | იამაიკა | 485 | 139 | 140 | ნიკარაგუა | 195 |
| 2 | 2 | გერმანია | 1362 | 71 | 67 | ბაჰრეინი | 476 | 140 | 134 | აზერბაიჯანი | 190 |
| 3 | 3 | ჰოლანდია | 1360 | 72 | 64 | ალჟირი | 475 | 140 | 142 | ლიბერია | 190 |
| 4 | 5 | ბრაზილია | 1275 | 73 | 68 | უელსი | 468 | 142 | 141 | ჰონგ კონგი | 183 |
| 5 | 4 | *იტალია* | 1271 | 74 | 84 | *კვიპროსი* | 460 | 143 | 143 | ვანუატუ | 176 |
| 6 | 6 | არგენტინა | 1201 | 75 | 75 | ტრინიდადი | 456 | 144 | 148 | ტაჯიკეთი | 172 |
| 7 | 9 | ინგლისი | 1173 | 76 | 74 | უზბეკეთი | 455 | 145 | 147 | ნიგერი | 168 |
| 8 | 7 | ხორვატია | 1151 | 77 | 72 | ს. აფრიკა | 453 | 146 | 143 | იემენი | 167 |
| 9 | 8 | რუსეთი | 1117 | 78 | 88 | ავსტრია | 446 | 147 | 149 | ინდოეთი | 156 |
| 10 | 12 | საფრანგეთი | 1074 | 79 | 79 | ახ. ზელანდია | 445 | 147 | 155 | ყირგიზეთი | 156 |
| 11 | 10 | პორტუგალია | 1013 | 80 | 88 | ბელარუსი | 431 | 149 | 153 | ანტილია | 152 |
| 12 | 13 | ჩეხეთი | 968 | 81 | 81 | ომანი | 423 | 150 | 151 | ლიბანი | 148 |
| 13 | 19 | საბერძნეთი | 927 | 82 | 82 | ლიბია | 419 | 151 | 146 | მალტა | 141 |
| 14 | 11 | თურქეთი | 925 | 83 | 85 | რუანდა | 417 | 151 | 157 | სტ. ვინსენტი | 141 |
| 15 | 17 | აშშ | 919 | 84 | 88 | სუდანი | 412 | 153 | 154 | სტ. კიტსი | 139 |
| 16 | 21 | ურუგვაი | 909 | 85 | 82 | ერაყი | 408 | 153 | 145 | პუერტო რიკო | 139 |
| 17 | 15 | პარაგვაი | 896 | 86 | 93 | მოზამბიკი | 401 | 155 | 151 | ლიხტენშტაინი | 134 |
| 18 | 22 | შვეიცარია | 883 | 87 | 78 | ანგოლა | 399 | 156 | 150 | მავრიტანია | 130 |
| 19 | 16 | კამერუნი | 871 | 88 | 77 | პერუ | 397 | 157 | 156 | თურქმენეთი | 124 |
| 20 | 27 | *ბულგარეთი* | 840 | 89 | 94 | კანადა | 394 | 158 | 158 | მალდივია | 122 |
| 21 | 18 | ისრაელი | 836 | 90 | 92 | ზამბია | 393 | 159 | 159 | მიანმარი | 121 |
| 22 | 14 | უკრაინა | 832 | 91 | 80 | ალბანეთი | 390 | 160 | 160 | ერიტრია | 114 |
| 23 | 36 | სერბეთი | 819 | 92 | 98 | მოლდოვა | 387 | 161 | 161 | მალაიზია | 105 |
| 24 | 28 | შოტლანდია | 815 | 93 | 75 | ისლანდია | 386 | 162 | 164 | ფილიპინები | 103 |
| 25 | 23 | მექსიკა | 808 | 93 | 86 | ბენინი | 386 | 163 | 162 | ლესოტო | 101 |
| 26 | 30 | ჩილე | 806 | 95 | 95 | კონგო დრ | 385 | 164 | 163 | სოლომონი | 100 |
| 27 | 42 | ჩრდ. ირლანდია | 795 | 96 | 85 | ყატარი | 376 | 165 | 164 | შრი ლანკა | 97 |
| 28 | 20 | რუმინეთი | 792 | 97 | 96 | სირია | 357 | 166 | 185 | ფარერები | 96 |
| 29 | 38 | დანია | 790 | 98 | 99 | კუბა | 355 | 167 | 179 | სომალი | 82 |
| 30 | 24 | ნიგერია | 781 | 99 | 101 | ეთიოპია | 353 | 168 | 168 | კაიმანი | 76 |
| 31 | 34 | განა | 779 | 100 | 100 | ჩინეთი | 352 | 169 | 172 | ნეპალი | 74 |
| 32 | 32 | ავსტრალია | 776 | 101 | 103 | ტანზანია | 342 | 170 | 170 | ლაოსი | 73 |
| 33 | 25 | შვედეთი | 769 | 102 | 106 | სალვადორი | 339 | 171 | 174 | პალესტინა | 71 |
| 34 | 22 | *ირლანდია* | 761 | 103 | 105 | კაპო ვერდე | 335 | 172 | 173 | მავრიკეთი | 69 |
| 35 | 35 | იაპონია | 749 | 104 | 107 | ჩრდ. კორეა | 334 | 173 | 171 | სეიშელი | 68 |
| 36 | 37 | კოტ დივუარი | 743 | 105 | 104 | ფიჯი | 333 | 174 | 176 | სამოა | 64 |
| 37 | 31 | ეგვიპტე | 742 | 106 | 102 | ზიმბაბვე | 329 | 175 | 180 | კამბოჯა | 60 |
| 38 | 58 | ბოსნია | 737 | 107 | 96 | კენია | 327 | 175 | 178 | ბელიზი | 60 |
| 39 | 40 | ჰონდურასი | 726 | 108 | 122 | გრენადა | 324 | 177 | 166 | პაკისტანი | 58 |
| 40 | 32 | კოსტა რიკა | 721 | 109 | 111 | **საქართველო** | 322 | 178 | 174 | ბანგლადეში | 53 |
| 41 | 29 | პოლონეთი | 719 | 110 | 110 | სიერა ლეონე | 319 | 178 | 169 | ბაჰამი | 53 |
| 42 | 39 | ეკვადორი | 697 | 111 | 113 | გვატემალა | 303 | 180 | 167 | ტაივანი | 52 |
| 43 | 47 | კოლუმბია | 674 | 112 | 108 | მალავი | 302 | 181 | 181 | კაიკოსი | 51 |
| 44 | 48 | უნგრეთი | 662 | 113 | 118 | ტაილანდი | 298 | 182 | 183 | ბრუნეი | 47 |
| 45 | 44 | ს. კორეა | 641 | 114 | 118 | ბერმუდა | 296 | 183 | 193 | მონღოლეთი | 43 |
| 46 | 45 | ნორვეგია | 640 | 115 | 126 | ესტონეთი | 293 | 184 | 184 | ავღანეთი | 41 |
| 47 | 53 | სლოვაკეთი | 626 | 115 | 124 | ანტიგუა | 293 | 185 | 186 | ჯიბუტი | 40 |
| 48 | 63 | გაბონი | 616 | 117 | 112 | *ჩერნოგორია* | 284 | 185 | 187 | დომინიკის რ. | 40 |
| 49 | 46 | მალი | 609 | 117 | 109 | ეკვატ. გვინეა | 284 | 187 | 188 | გვინეა-ბისაუ | 38 |
| 50 | 41 | მაროკო | 593 | 119 | 117 | ჰაიტი | 283 | 188 | 201 | გუამი | 34 |
| 51 | 57 | ფინეთი | 591 | 120 | 114 | ქუვეითი | 282 | 189 | 189 | ბუტანი | 32 |
| 52 | 54 | ტუნისი | 585 | 121 | 115 | ნამიბია | 281 | 189 | 176 | სტ. ლუსია | 32 |
| 53 | 44 | ირანი | 582 | 122 | 116 | საამიროები | 280 | 189 | 190 | ტაიტი | 32 |
| 53 | 50 | გვინეა | 582 | 123 | 129 | ბარბადოსი | 278 | 189 | 190 | ტონგა | 32 |
| 55 | 55 | ს. არაბეთი | 577 | 124 | 121 | ბოტსვანა | 268 | 193 | 182 | ბრიტ. ვირჯინია | 30 |
| 56 | 66 | ბურკინა ფასო | 559 | 124 | 120 | სომხეთი | 268 | 194 | 192 | არუბა | 22 |
| 57 | 52 | ლიტვა | 555 | 126 | 122 | ლუქსემბურგი | 259 | 195 | 195 | ანდორა | 18 |
| 58 | 65 | ვენესუელა | 554 | 127 | 127 | იორდანია | 255 | 195 | 197 | მაკაუ | 18 |
| 58 | 56 | ბოლივია | 554 | 127 | 128 | გვიანა | 255 | 197 | 196 | დომინიკა | 12 |
| 60 | 51 | პანამა | 547 | 129 | 131 | სურინამი | 253 | 198 | 198 | ტიმორ-ლესტე | 9 |
| 61 | 71 | ლატვია | 541 | 130 | 125 | ჩადი | 251 | 199 | 199 | კომოროსი | 8 |
| 62 | 49 | ბელგია | 534 | 131 | 132 | ახ. კალედონია | 229 | 199 | 194 | აშშ-ს ვირჯინია | 8 |
| 63 | 59 | სლოვენია | 510 | 132 | 134 | ბურუნდი | 224 | 201 | 202 | ცენტრ. აფრიკა | 4 |
| 64 | 61 | მაკედონია | 507 | 133 | 132 | სინგაპური | 220 | 202 | 203 | სან მარინო | 0 |
| 65 | 91 | ტოგო | 506 | 134 | 136 | ვიეტნამი | 216 | 202 | 203 | ანგილა | 0 |
| 66 | 60 | სენეგალი | 497 | 134 | 138 | მადაგასკარი | 216 | 202 | 203 | მონსერატი | 0 |
| 67 | 62 | კონგო | 493 | 136 | 139 | სვაზილენდი | 214 | 202 | 203 | ამერიკის სამოა | 0 |
| 68 | 69 | უგანდა | 492 | 136 | 130 | ყაზახეთი | 214 | 202 | 203 | კუკის კ-ბი | 0 |
| 69 | 73 | გამბია | 491 | 138 | 137 | ინდონეზია | 210 | 202 | 203 | პაპუა ახ. გვინეა | 0 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველო და აფხაზეთი ერთ ორგანიზაციაში?!

## ესპანეთმა სეპარატისტებს ვიზები დაუბლოკა



რაფაელ ამპარი

**სეპარატისტული** აფხაზეთის ფუტსალის ნაკრები ესპანეთში გასამართ საერთაშორისო ტურნირზე სათამაშოდ ვერ გაემგზავრა. ამის მიზეზი ისაა, რომ ესპანელებმა აფხაზებს ვიზების გაცემაზე უარი უთხრეს.

რუსული სააგენტოების ცნობით, აფხაზებმა საბუთები 18 მარტს წარადგინეს მოსკოვში მდებარე ესპანეთის საელჩოში, თუმცა 27 მარტს იქიდან უარყოფითი პასუხი მიიღეს. მიზეზად კი ფორმალობების შეუსრულებლობა უთხრეს, რამაც სეპარატისტები აღაშფოთა.

საერთო ჯამში, აფხაზები 18-კაციანი შემადგენლობით აპირებდნენ „ერთა თასზე“ გამგზავრებას, რომელიც ბარსელონას სიახლოვეს ყოველწლიურად ტარდება 30 მარტიდან 6 აპრილის ჩათვლით.

სეპარატისტული აფხაზეთის სპორტისა და ახალგაზრდობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე რაფაელ ამპარმა ამ ამბავს ეთნიკური ნიშნის ნიადაგზე დისკრიმინაცია უწოდა. აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა კი აცხადებს, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მსგავს შემთხვევებს აგროვებს და აუცილებლად გაასაჩივრებს...

ერთიც: აი, რა განუცხადა ჟურნალისტებს ამპარმა:

„თითქმის ოთხი თვე ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს და საბოლოოდ, ევროპის ფუტსალის კავშირში მიგვიღეს, რომელსაც კომპანია „ა-მობაილის“ გენერალური დირექტორი კონდრატ სამსონია ხელმძღვანელობს. ამის შემდეგ კი პარაგვაიში გამართულ სხდომაზე გადაწყდა, რომ აფხაზეთის ფუტსალის ფედერაცია ფუტსალის საერთაშორისო ასოციაციის წევრიც გახდა. ამ ასოციაციის წევრი დაახლოებით 50 ქვეყანაა და ამიერიდან, მათ შორის, აფხაზეთიც“.

ცხადია, ამ ამბავს ყურიდან ყურში ვერ გავატარებდით და ინფორმაციის მოძიება დავიწყეთ...

საბოლოოდ,-ეს გავარკვიეთ: ევროპის ფუტსალის კავშირს არანაირი შეხება არა აქვს ფიფა-უეფასთან. მეტიც, ისინი უეფას იქით ედავებიან, ფუტსალს თქვენამდე ჩვენ ვპატრონობდითო... ანუ, ცოტა არ იყოს, არასასიამოვნო ურთიერთობა აქვთ.

აქედან გამომდინარე, აფხაზეთის ფუტსალის ფედერაციის ამ ორგანოში გაწევრიანებას ლეგიტიმაციასთან და საერთაშორისო აღიარებასთან არანაირი კავშირი არ აქვს.

თუმცა...

ერთი მეტად საინტერესო ცნობა დევს ევროპის ფუტსალის კავშირის ოფიციალურ ვებგვერდზე.

კერძოდ, ამ ორგანიზაციის წევრები არიან: სომხეთი, ავსტრალია (?), ბულგარეთი, ბასკეთი, ბელარუსი, ბელგია, კატალონია, ჩეხეთი, დანია, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ისრაელი, იტალია, სანტა ელენა, სლოვაკეთი, ესპანეთი, შვედეთი, ყაზახეთი, ლატვია, მოლდოვა, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუსეთი, უკრაინა, აფხაზეთი და... საქართველო!

ვერავინ გვიხსნის, საქართველოდან ვინ შეიძლება იყოს გაწევრიანებული ამ კავშირში, მაგრამ ალბათ ძალიან საინტერესო და უცნაურია (ცხადია, მიუღებელიც) ერთი და იგივე ორგანიზაციის წევრებად საქართველოს და აფხაზეთის ნახვა.

ვფიქრობთ, ყველაფრის მიუხედავად, მარტო ამის გამო უნდა ჰქონდეს ამ თემას გაგრძელება...

**ქახა ზალამბერიძე**



# ციმაკურიძემ ზარიას უჩივლა

**ლუგანსკის** „ზარიას“ თვრამეტმა ფეხბურთელმა უკრაინის პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო კომიტეტში უჩივლა.

მომჩივანთა შორისაა ლუგანსკელთა ქართველი მცველი გიორგი ციმაკურიძეც.

შეგახსენებთ, რომ „ზარია“ ფინანსურ კრიზისშია და კლუბის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელებს ხუთჯერ შეუმცირა ხელფასები. სწორედ ამის გასაჩივრება ითავეს მოთამაშეებმა, რადგან მათი მტკიცებით, კლუბს წინასწარ უნდა ეცნობებინა თავისი გადაწყვეტილების თაობაზე.

მოკლედ, უკრაინული პროფლიგა საქმის გასარჩევად ემზადება და ეს, რაც შეიძლება, მალე უნდა გააკეთოს, რადგან „ზარია“ მომდევნო მატჩის ბოიკოტით იმუქრება.

**ქახა ზალამბერიძე**

# კალაძის მანქანის ახალი დეტალები



**კახა კალაძის** „ლამბორჯინის“ თემაზე უკრაინულ პრესაში წერა არა და არ წყდება.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე კვირის წინ „ლამბორჯინი“ ავარიაში მოხვდა და მაშინ კალაძემ უკრაინელ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საჭესთან ანდრეი სტრიჟაკი იჯდა, ვისაც მანქანა ცოტა ხნით ათხოვა.

მაშინ საქართველოს ნაკრების კაპიტანმა ისიც თქვა, რომ მთავარია, არავინ დაშავებულა და „ლამბორჯინი“ იტალიაში წაიყვანა.

ახლა კი უკრაინელი ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ მანქანას სტრიჟაკი კი არა, მავანი გოლოვეი მართავდა.

„პოდრობნოსტის“ მტკიცებით, გოლოვეის მანქანა სამრეცხაოში მიჰყავდა და საჭე ვერ დაიმორჩილა.

ავტოინსპექციის უფროს პიოტრ ლუციუკის განმარტებით კი, „ლამბორჯინი“ კალაძეს ეკუთვნის, მაგრამ მინდობილობა სლოვაკეთის ქალაქ მიხაილოვცეში მცხოვრებ ვინმე დოვგანიჩზეა გაფორმებული.

მოკლედ, ეს თემა ჯერაც პოპულარული და ამოუწურავია უკრაინაში

**ოთარ მხეიძე**

# ქინქლაძის ფერარი თაიმსის თერთმეტეულში



დამტვრეული „ფერარი“

**ბრიტანულმა** „თაიმსმა“ ფეხბურთელთა ავტოავარიების „საუკეთესო“ თერთმეტეული შეადგინა და მასში მე-10 ადგილზე გიორგი ქინქლაძე მოხვდა.

თავის დროზე ინგლისური „მანჩესტერ სიტის“ ქართველმა ნახევარმცველმა ძვირადღირებული „ფერარი 355 GTS“ დაამტვრია, რის გამოც 2500 გირვანქით დააჯარიმეს.

თერთმეტეული კი ასე გამოიყურება:

1. ლუკ მაკკორმიკი; „პლიმუთის“ მეკარე.
2. ლი ჰიუზი; „ვესტ ბრომვიჩის“ თავდამსხმელი.
3. სტივ ფინანი; „ლივერპულის“ მცველი.
4. კრის კოულმენი; „ქოვენთრის“ მწვრთნელი.
5. ჯანლუიჯი ლენტინი; „მილანის“ თავდამსხმელი.
| 11075 | ბორნმუთი-ბრენტფორდი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11076 | ბრედფორდი-ლინკოლნი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11077 | დარლინგტონი-ბერი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11078 | ექსეტერი-უიკომბი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11079 | ჯილინგემი-დაგენემი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11831 | კალმარი-აიკ | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11832 | ქვიდინგი-ლანდსკრონა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11833 | ტროლიატანი-მიალბიუ | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11834 | ატვიდაბერგი-სირიანსკა | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11835 | ვასალუნდი-ვესბი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11836 | ანგელჰოლმი-იონჩიოპინგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11837 | სუნდსვალი-ფალკენბერგი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11838 | სტ.მირენი-ჰიბერნიანი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11841 | ლანსი-სტრასბური | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11842 | ტროფენსე-ნასიონალი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11001 | ბაიერნი-ბარსელონა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11003 | ჩელსი-ლივერპული | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11709 | ჰამ კამი-ალტა | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11005 | პორტუ-მანჩესტერი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11007 | არსენალი-ვილიარეალი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11009 | სიტი-ჰამბურგი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11011 | დინამო კ-პსჟ | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11013 | მარსელი-შახტარი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11015 | უდინეზე-ვერდერი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |

## ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16067 | დონსი-როვერსი | 1.23 | 3.60 |
| 16068 | ნორთჰემპტონი-საუთენდი | 1.85 | 1.80 |
| 16069 | მაკლსფილდი-მორქემბი | 1.62 | 2.05 |
| 16070 | ნოტსი-გრიმსბი | 1.52 | 2.20 |
| 16071 | პორტ ვეილი-როთერჰემი | 1.95 | 1.65 |
| 16072 | აკრინგტონი-ჩესტერი | 1.35 | 2.80 |
| 16073 | შრუსბერი-როჩდეილი | 1.55 | 2.20 |
| 16074 | ალდერშოტი-ბარნეტი | 1.55 | 2.20 |
| 16075 | ბორნმუთი-ბრენტფორდი | 1.75 | 1.85 |
| 16076 | ბრედფორდი-ლინკოლნი | 1.38 | 2.65 |
| 16077 | დარლინგტონი-ბერი | 1.75 | 1.85 |
| 16078 | ექსეტერი-უიკომბი | 1.55 | 2.20 |
| 16079 | ჯილინგემი-დაგენემი | 1.35 | 2.80 |
| 16080 | ლუტონი-ჩესტერფილდი | 1.75 | 1.85 |
| 16694 | ლინი-ვიკინგი | 1.85 | 1.80 |
| 16695 | ბრანი-ტრომსიო | 1.52 | 2.20 |
| 16696 | ოდ გრენლანდი-ალესუნდი | 1.50 | 2.45 |
| 16697 | ლილესტრომი-ვოლერენგა | 1.52 | 2.20 |
| 16706 | სტავანგერი-მოსი | 2.10 | 1.60 |
| 16707 | ჰონეფოსი-ნიბერგსუნდი | 1.25 | 3.40 |
| 16708 | სარპსბორგი-ნოტოდენი | 1.52 | 2.20 |
| 16710 | სკეიდი-ბრინი | 1.80 | 1.85 |
| 16711 | მიონდალენი-სოგნდალი | 2.90 | 1.32 |
| 16712 | ჰაუგესუნდი-კონგსვინგერი | 1.52 | 2.20 |
| 16713 | ლიოვ ჰამი-ტრომსდალენი | 1.35 | 2.80 |
| 16829 | გაის-ჰელსინგბორგი | 1.95 | 1.65 |
| 16830 | მალმიო-იორგრიტე | 1.12 | 4.60 |
| 16831 | კალმარი-აიკ | 1.40 | 2.55 |
| 16832 | ქვიდინგი-ლანდსკრონა | 1.82 | 1.82 |
| 16833 | ტროლჰატანი-მიალბიუ | 2.45 | 1.40 |
| 16834 | ატვიდაბერგი-სირიანსკა | 1.38 | 2.65 |
| 16835 | ვასალუნდი-ვესბი | 1.58 | 2.10 |
| 16836 | ანგელჰოლმი-იონჩოპინგი | 1.40 | 2.55 |
| 16837 | სუნდსვალი-ფალკენბერგი | 1.12 | 4.60 |
| 16838 | სტ.მირენი-ჰიბერნიანი | 1.95 | 1.65 |
| 16841 | ლანსი-სტრასბური | 1.52 | 2.20 |
| 16842 | ტროიესი-ნასიონალი | 2.05 | 1.65 |
| 16001 | ბაიერნი-ბარსელონა | 2.05 | 1.65 |
| 16003 | ჩელსი-ლივერპული | 1.55 | 2.20 |
| 16709 | ჰამ კამი-ალტა | 1.05 | 5.70 |
| 16005 | პორტუ-მანჩესტერი | 2.40 | 1.45 |
| 16007 | არსენალი-ვილიარეალი | 1.22 | 3.40 |
| 16009 | სიტი-ჰამბურგი | 1.38 | 2.65 |
| 16011 | დინამო კ-პსჟ | 1.32 | 3.00 |
| 16013 | მარსელი-შახტარი | 1.35 | 2.80 |
| 16015 | უდინეზე-ვერდერი | 1.65 | 2.05 |

## გოლი:წყვილი-1ლი კენტი-2.(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17071 | პორტ ვეილი-როთერჰემი | 1.85 | 1.95 |
| 17072 | აკრინგტონი-ჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17073 | შრუსბერი-როჩდეილი | 1.85 | 1.95 |
| 17074 | ალდერშოტი-ბარნეტი | 1.85 | 1.95 |
| 17075 | ბორნმუთი-ბრენტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17076 | ბრედფორდი-ლინკოლნი | 1.85 | 1.95 |
| 17077 | დარლინგტონი-ბერი | 1.85 | 1.95 |
| 17078 | ექსეტერი-უიკომბი | 1.85 | 1.95 |
| 17079 | ჯილინგემი-დაგენემი | 1.85 | 1.95 |
| 17080 | ლუტონი-ჩესტერფილდი | 1.85 | 1.95 |
| 17234 | მაინცი-ფრაიბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17692 | მოლდე-სანდეფიორდი | 1.85 | 1.95 |
| 17693 | ბოდიო გლიმტი-სტრომსგოდსეტი | 1.85 | 1.95 |
| 17694 | ლინი-ვიკინგი | 1.85 | 1.95 |
| 17695 | ბრანი-ტრომსიო | 1.85 | 1.95 |
| 17696 | ოდ გრენლანდი-ალესუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17697 | ლილესტრომი-ვოლერენგა | 1.85 | 1.95 |
| 17706 | სტავანგერი-მოსი | 1.85 | 1.95 |
| 17707 | ჰონეფოსი-ნიბერგსუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17708 | სარპსბორგი-ნოტოდენი | 1.85 | 1.95 |
| 17710 | სკეიდი-ბრინი | 1.85 | 1.95 |
| 17711 | მიონდალენი-სოგნდალი | 1.85 | 1.95 |
| 17712 | ჰაუგესუნდი-კონგსვინგერი | 1.85 | 1.95 |
| 17713 | ლიოვ ჰამი-ტრომსდალენი | 1.85 | 1.95 |
| 17829 | გაის-ჰელსინგბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17830 | მალმიო-იორგრიტე | 1.85 | 1.95 |
| 17831 | კალმარი-აიკ | 1.85 | 1.95 |
| 17832 | ქვიდინგი-ლანდსკრონა | 1.85 | 1.95 |
| 17833 | ტროლჰატანი-მიალბიუ | 1.85 | 1.95 |
| 17834 | ატვიდაბერგი-სირიანსკა | 1.85 | 1.95 |
| 17835 | ვასალუნდი-ვესბი | 1.85 | 1.95 |
| 17836 | ანგელჰოლმი-იონჩოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17837 | სუნდსვალი-ფალკენბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17838 | სტ.მირენი-ჰიბერნიანი | 1.85 | 1.95 |
| 17841 | ლანსი-სტრასბური | 1.85 | 1.95 |
| 17842 | ტროიესი-ნასიონალი | 1.85 | 1.95 |
| 17001 | ბაიერნი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17003 | ჩელსი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17709 | ჰამ კამი-ალტა | 1.85 | 1.95 |
| 17005 | პორტუ-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | არსენალი-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | სიტი-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | დინამო კ-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 17013 | მარსელი-შახტარი | 1.85 | 1.95 |
| 17015 | უდინეზე-ვერდერი | 1.85 | 1.95 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| *14072 | აკრინგტონი-ჩესტერი | 1.70 | 2.20 |
| *14073 | შრუსბერი-როჩდეილი | 1.80 | 2.00 |
| *14074 | ალდერშოტი-ბარნეტი | 1.80 | 2.00 |
| *14075 | ბორნმუთი-ბრენტფორდი | 1.85 | 1.95 |
| *14076 | ბრედფორდი-ლინკოლნი | 1.70 | 2.20 |
| *14077 | დარლინგტონი-ბერი | 1.85 | 1.95 |
| *14078 | ექსეტერი-უიკომბი | 1.80 | 2.00 |
| *14079 | ჯილინგემი-დაგენემი | 1.70 | 2.20 |
| *14080 | ლუტონი-ჩესტერფილდი | 1.85 | 1.95 |
| *14234 | მაინცი-ფრაიბურგი | 1.80 | 2.00 |
| *14692 | მოლდე-სანდეფიორდი | 1.45 | 2.40 |
| *14693 | ბოდიო გლიმტი-სტრომსგოდსეტი | 1.75 | 2.10 |
| *14694 | ლინი-ვიკინგი | 1.90 | 1.90 |
| *14695 | ბრანი-ტრომსიო | 1.75 | 2.10 |
| *14696 | ოდ გრენლანდი-ალესუნდი | 1.75 | 2.10 |
| *14697 | ლილესტრომი-ვოლერენგა | 1.75 | 2.10 |
| *14706 | სტავანგერი-მოსი | 2.00 | 1.80 |
| *14707 | ჰონეფოსი-ნიბერგსუნდი | 1.45 | 2.40 |
| *14708 | სარპსბორგი-ნოტოდენი | 1.75 | 2.10 |
| *14710 | სკეიდი-ბრინი | 1.90 | 1.90 |
| *14711 | მიონდალენი-სოგნდალი | 2.30 | 1.65 |
| *14712 | ჰაუგესუნდი-კონგსვინგერი | 1.75 | 2.10 |
| *14713 | ლიოვ ჰამი-ტრომსდალენი | 1.70 | 2.20 |
| *14829 | გაის-ჰელსინგბორგი | 1.95 | 1.85 |
| *14830 | მალმიო-იორგრიტე | 1.20 | 2.60 |
| *14831 | კალმარი-აიკ | 1.70 | 2.20 |
| *14832 | ქვიდინგი-ლანდსკრონა | 1.90 | 1.90 |
| *14833 | ტროლჰატანი-მიალბიუ | 2.20 | 1.70 |
| *14834 | ატვიდაბერგი-სირიანსკა | 1.70 | 2.20 |
| *14835 | ვასალუნდი-ვესბი | 1.80 | 2.00 |
| *14836 | ანგელჰოლმი-იონჩოპინგი | 1.70 | 2.20 |
| *14837 | სუნდსვალი-ფალკენბერგი | 1.20 | 2.60 |
| *14838 | სტ.მირენი-ჰიბერნიანი | 1.95 | 1.85 |
| *14841 | ლანსი-სტრასბური | 1.75 | 2.10 |
| *14842 | ტროიესი-ნასიონალი | 1.95 | 1.85 |
| *14001 | ბაიერნი-ბარსელონა | 2.00 | 1.80 |
| *14003 | ჩელსი-ლივერპული | 1.80 | 2.00 |
| *14709 | ჰამ კამი-ალტა | 1.08 | 2.90 |
| *14005 | პორტუ-მანჩესტერი | 2.10 | 1.75 |
| *14007 | არსენალი-ვილიარეალი | 1.30 | 2.50 |
| *14009 | სიტი-ჰამბურგი | 1.70 | 2.20 |
| *14011 | დინამო კ-პსჟ | 1.65 | 2.30 |
| *14013 | მარსელი-შახტარი | 1.70 | 2.20 |
| *14015 | უდინეზე-ვერდერი | 1.80 | 2.00 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13068 | ნორთჰემპტონი-საუთენდი | 1.70 | 1.90 |
| 13069 | მაკლსფილდი-მორქემბი | 1.70 | 1.90 |
| 13070 | ნოტსი-გრიმსბი | 1.70 | 1.90 |
| 13071 | პორტ ვეილი-როთერჰემი | 1.70 | 1.90 |
| 13072 | აკრინგტონი-ჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13073 | შრუსბერი-როჩდეილი | 1.70 | 1.90 |
| 13074 | ალდერშოტი-ბარნეტი | 1.70 | 1.90 |
| 13075 | ბორნმუთი-ბრენტფორდი | 1.70 | 1.90 |
| 13076 | ბრედფორდი-ლინკოლნი | 1.70 | 1.90 |
| 13077 | დარლინგტონი-ბერი | 1.70 | 1.90 |
| 13078 | ექსეტერი-უიკომბი | 1.70 | 1.90 |
| 13079 | ჯილინგემი-დაგენემი | 1.70 | 1.90 |
| 13080 | ლუტონი-ჩესტერფილდი | 1.70 | 1.90 |
| 13234 | მაინცი-ფრაიბურგი | 1.55 | 2.10 |
| 13692 | მოლდე-სანდეფიორდი | 1.70 | 1.90 |
| 13693 | ბოდიო გლიმტი-სტრომსგოდსეტი | 1.60 | 2.00 |
| 13694 | ლინი-ვიკინგი | 1.70 | 1.90 |
| 13695 | ბრანი-ტრომსიო | 1.50 | 2.10 |
| 13696 | ოდ გრენლანდი-ალესუნდი | 1.40 | 2.20 |
| 13697 | ლილესტრომი-ვოლერენგა | 1.60 | 2.00 |
| 13706 | სტავანგერი-მოსი | 1.40 | 2.20 |
| 13707 | ჰონეფოსი-ნიბერგსუნდი | 1.50 | 2.10 |
| 13708 | სარპსბორგი-ნოტოდენი | 1.40 | 2.20 |
| 13710 | სკეიდი-ბრინი | 1.50 | 2.10 |
| 13711 | მიონდალენი-სოგნდალი | 1.40 | 2.20 |
| 13712 | ჰაუგესუნდი-კონგსვინგერი | 1.50 | 2.10 |
| 13713 | ლიოვ ჰამი-ტრომსდალენი | 1.40 | 2.20 |
| 13829 | გაის-ჰელსინგბორგი | 1.70 | 1.90 |
| 13830 | მალმიო-იორგრიტე | 1.70 | 1.90 |
| 13831 | კალმარი-აიკ | 1.70 | 1.90 |
| 13832 | ქვიდინგი-ლანდსკრონა | 1.50 | 2.10 |
| 13833 | ტროლჰატანი-მიალბიუ | 1.60 | 2.00 |
| 13834 | ატვიდაბერგი-სირიანსკა | 1.60 | 2.00 |
| 13835 | ვასალუნდი-ვესბი | 1.60 | 2.00 |
| 13836 | ანგელჰოლმი-იონჩოპინგი | 1.60 | 2.00 |
| 13837 | სუნდსვალი-ფალკენბერგი | 1.70 | 1.90 |
| 13838 | სტ.მირენი-ჰიბერნიანი | 1.70 | 1.90 |
| 13841 | ლანსი-სტრასბური | 1.70 | 1.90 |
| 13842 | ტროიესი-ნასიონალი | 1.70 | 1.90 |
| 13001 | ბაიერნი-ბარსელონა | 1.60 | 2.00 |
| 13003 | ჩელსი-ლივერპული | 1.60 | 2.00 |
| 13005 | პორტუ-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | არსენალი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | სიტი-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | დინამო კ-პსჟ | 1.70 | 1.90 |
| 13013 | მარსელი-შახტარი | 1.70 | 1.90 |
| 13015 | უდინეზე-ვერდერი | 1.70 | 1.90 |

## პირველი ტაიმი ფრეს გარეშე

| | | | |
|---|---|---|---|
| 23072 | აკრინგტონი-ჩესტერი | 1.15 | 2.15 |
| 23073 | შრუსბერი-როჩდეილი | 1.30 | 1.70 |
| 23074 | ალდერშოტი-ბარნეტი | 1.30 | 1.70 |
| 23075 | ბორნმუთი-ბრენტფორდი | 1.40 | 1.55 |
| 23076 | ბრედფორდი-ლინკოლნი | 1.16 | 2.10 |
| 23077 | დარლინგტონი-ბერი | 1.40 | 1.55 |
| 23078 | ექსეტერი-უიკომბი | 1.30 | 1.70 |
| 23079 | ჯილინგემი-დაგენემი | 1.15 | 2.15 |
| 23080 | ლუტონი-ჩესტერფილდი | 1.40 | 1.55 |
| 23234 | მაინცი-ფრაიბურგი | 1.30 | 1.70 |
| 23692 | მოლდე-სანდეფიორდი | 1.09 | 2.78 |
| 23693 | ბოდიო გლიმტი-სტრომსგოდსეტი | 1.20 | 1.80 |
| 23694 | ლინი-ვიკინგი | 1.47 | 1.48 |
| 23695 | ბრანი-ტრომსიო | 1.27 | 1.75 |
| 23696 | ოდ გრენლანდი-ალესუნდი | 1.20 | 1.80 |
| 23697 | ლილესტრომი-ვოლერენგა | 1.27 | 1.75 |
| 23706 | სტავანგერი-მოსი | 1.61 | 1.32 |
| 23707 | ჰონეფოსი-ნიბერგსუნდი | 1.12 | 2.40 |
| 23708 | სარპსბორგი-ნოტოდენი | 1.27 | 1.75 |
| 23710 | სკეიდი-ბრინი | 1.51 | 1.46 |
| 23711 | მიონდალენი-სოგნდალი | 1.90 | 1.18 |
| 23712 | ჰაუგესუნდი-კონგსვინგერი | 1.27 | 1.75 |
| 23713 | ლიოვ ჰამი-ტრომსდალენი | 1.15 | 2.15 |
| 23829 | გაის-ჰელსინგბორგი | 1.55 | 1.37 |
| 23830 | მალმიო-იორგრიტე | 1.01 | 3.30 |
| 23831 | კალმარი-აიკ | 1.20 | 1.80 |
| 23832 | ქვიდინგი-ლანდსკრონა | 1.50 | 1.47 |
| 23833 | ტროლჰატანი-მიალბიუ | 1.80 | 1.20 |
| 23834 | ატვიდაბერგი-სირიანსკა | 1.16 | 2.10 |
| 23835 | ვასალუნდი-ვესბი | 1.32 | 1.65 |
| 23836 | ანგელჰოლმი-იონჩოპინგი | 1.20 | 1.80 |
| 23837 | სუნდსვალი-ფალკენბერგი | 1.01 | 3.30 |
| 23838 | სტ.მირენი-ჰიბერნიანი | 1.55 | 1.37 |
| 23841 | ლანსი-სტრასბური | 1.27 | 1.75 |
| 23842 | ტროიესი-ნასიონალი | 1.60 | 1.35 |
| 23001 | ბაიერნი-ბარსელონა | 1.60 | 1.35 |
| 23003 | ჩელსი-ლივერპული | 1.30 | 1.70 |
| 23709 | ჰამ კამი-ალტა | 1.00 | 4.40 |
| 23005 | პორტუ-მანჩესტერი | 1.80 | 1.23 |
| 23007 | არსენალი-ვილიარეალი | 1.08 | 2.85 |
| 23009 | სიტი-ჰამბურგი | 1.16 | 2.10 |
| 23011 | დინამო კ-პსჟ | 1.14 | 2.25 |
| 23013 | მარსელი-შახტარი | 1.15 | 2.15 |
| 23015 | უდინეზე-ვერდერი | 1.35 | 1.60 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი (ძირ. დრო)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *15069 | მაკლსფილდი-მორქემბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15070 | ნოტსი-გრიმსბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15071 | პორტ ვეილი-როთერჰემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15072 | აკრინგტონი-ჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15073 | შრუსბერი-როჩდეილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15074 | ალდერშოტი-ბარნეტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15075 | ბორნმუთი-ბრენტფორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15076 | ბრედფორდი-ლინკოლნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15077 | დარლინგტონი-ბერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15078 | ექსეტერი-უიკომბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15079 | ჯილინგემი-დაგენემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15080 | ლუტონი-ჩესტერფილდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15234 | მაინცი-ფრაიბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15692 | მოლდე-სანდეფიორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15693 | ბოდიო გლიმტი-სტრომსგოდსეტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15694 | ლინი-ვიკინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15695 | ბრანი-ტრომსიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15696 | ოდ გრენლანდი-ალესუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15697 | ლილესტრომი-ვოლერენგა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15706 | სტავანგერი-მოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15707 | ჰონეფოსი-ნიბერგსუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15708 | სარპსბორგი-ნოტოდენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15710 | სკეიდი-ბრინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15711 | მიონდალენი-სოგნდალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15712 | ჰაუგესუნდი-კონგსვინგერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15713 | ლიოვ ჰამი-ტრომსდალენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15829 | გაის-ჰელსინგბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15830 | მალმიო-იორგრიტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15831 | კალმარი-აიკ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15832 | ქვიდინგი-ლანდსკრონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15833 | ტროლჰატანი-მიალბიუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15834 | ატვიდაბერგი-სირიანსკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15835 | ვასალუნდი-ვესბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15836 | ანგელჰოლმი-იონჩოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15837 | სუნდსვალი-ფალკენბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15838 | სტ.მირენი-ჰიბერნიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15841 | ლანსი-სტრასბური | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15842 | ტროიესი-ნასიონალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15001 | ბაიერნი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15003 | ჩელსი-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15709 | ჰამ კამი-ალტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15005 | პორტუ-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15007 | არსენალი-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15009 | სიტი-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15011 | დინამო კ-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15013 | მარსელი-შახტარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| *15015 | უდინეზე-ვერდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

# ჩელსიმ თავი სერიაში იპოვა




რომან აბრამოვიჩი და კარლო ანჩელოტი

**„სანის“** ცნობით, მომავალი სეზონიდან „ჩელსის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი გახდება.

იტალიელი სამწლიან კონტრაქტს სავარაუდოდ ივნისში გააფორმებს. წელიწადში 5 მილიონ გირვანქას მიიღებს და ყოველ ჯილდოზე პრემიას — კიდევ მილიონ გირვანქას.

49 წლის ანჩელოტის გადაბირებას მადრიდის „რეალი“ ცდილობდა, მაგრამ გაირკვა, რომ საქმეში თვით რომან აბრამოვიჩი ჩაერია და მარტში შესთავაზა იტალიელს „ჩელსის“ მწვრთნელობა.

კარლო ანჩელოტის „მილანთან“ კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აქვს, ამიტომ აბრამოვიჩს შესაძლოა, კომპენსაციის გადახდამაც მოუწიოს.

„ჩელსისთვის“ აბრამოვიჩის ხელში ანჩელოტი მეექვსე მწვრთნელი იქნება რანიერის, მოურინიოს, გრანტის, სკოლარის და ჰიდინკის შემდეგ.

ჩემპიონთა ლიგა, რომელსაც ასე ძლიერ ეპოტინება რომან აბრამოვიჩი, ოთხმა წინამორბედმა ვერ მოიგო, ჰიდინკს კი შანსი აქვს.

კარლო ანჩელოტი „მილანში“ 2001 წლიდანაა. მისი თავკაცობით „შავ-წითლებმა“ ორჯერ აღმართეს ჩემპიონთა თასი (2003, 2007), თითოჯერ სერია A (2004) და იტალიის თასი (2003), ორჯერ უეფას სუპერთასი (2003, 2007) და ერთხელ ფიფას საკლუბო ჩემპიონატი (2007) მოიგეს.

**ვაჟა ხუციშვილი**



# რობინიო: არა ძალადობას!

**ძალადობაში** ეჭვმიტანილი რობინიო გაამართლეს.

14 იანვარს ლიდსის ღამის კლუბ „სპეისში“ ბრაზილიელის სტუმრობას სკანდალი მოჰყვა — გოგომ უჩივლა და ძალადობა დააბრალა.

რობინიოს საქმე ძიებაში იყო და გასულ კვირაში გაირკვა, რომ სრულიად უდანაშაულოა და ბრალდება მოეხსნა.

ბრაზილიელი „სიტიში“ შარშან ზაფხულს ბრიტანეთისთვის სარეკორდო ფასად, 32 მილიონ გირვანქად გადავიდა.

სკანდალამდე კი ესპანეთში შეკრებაზე მყოფი რობინიო მწვრთნელის დაუკითხავად სამშობლოში გაემგზავრა და საქმე საბოლოოდ გაუხდა.

# იუვეს ანდრადე აღარ ადარდებს

**პორტუგალიელ** მცველთან ჟორჟე ანდრადესთან „იუვენტუსმა“ კონტრაქტი გაწყვიტა.

ფეხბურთელი ტურინულ კლუბში 2007 წელს „დეპორტივოდან“ გადავიდა და თავიდანვე ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ ითვლებოდა, თუმც ტრავმები შეეჩვია და 4 მატჩზე მეტი ვერ ჩაატარა.

2008-ში ანდრადემ მარცხენა მუხლზე ოპერაცია სამჯერ გაიკეთა და მთლიანობაში წელიწადზე მეტი გაუცდა. „იუვემ“ ამ ხნის განმავლობაში შეინახა ფეხბურთელი, მაგრამ ახლა კონტრაქტის გაუქმება გადაწყვიტა.

ანდრადემ კარიერა „ამადორაში“ 1997 წელს დაიწყო, რასაც „პორტუ“ (2000-2002) და „დეპორტივო“ (2002-2007) მოჰყვა.

# რონალდუს დამრიგებელი: რას გავხარ? ჩვარს გავხარ!



**ოლიმპიურმა** ჩემპიონმა უსაინ ბოლტმა კრიშტიანუ რონალდუს ჩვარი უწოდა.

„პირველი, რაც რონალდუს მინდა ვუთხრა ისაა, რომ მოედანზე ჩვარივით მოქცევას შეეშვას. ეს მის თამაშზე ცუდად მოქმედებს.

ბევრი მეტოქე იმიტომ ეუხეშება, რომ სუსტად მიაჩნიათ. რატომ არ ეუხეშებიან ხშირად რუნის? ვერ უბედავენ და იმიტომ.

რონალდუს ვურჩევ, უფრო ხისტი და ზოგჯერ უხეშიც კი იყოს. ერთი-ორჯე წითელ ბარათსაც თუ მიიღებს უხეშობისთვის, მერე ველარაფერს გაუბედავენ.

რაც შეეხება სირბილის ყაიდას, როცა რონალდუ მირბის და სიჩქარეს აკრეფს, წინ იხრება, წონასწორობას კარგავს და ამიტომ იქცევა.

ცოტა სიჩქარეს თუ მოუკლებს და ტანს ვერტიკალურად დაიჭერს, პრობლემა აღარ ექნება.

თუ „მანჩესტერში“ მოვხდები, რამდენიმე რჩევას მივცემ და მისი სირბილის მანერაც გაუმჯობესდება“.

შეგახსენებთ, რომ ამასწინათ რონალდუმ 100 და 200 მეტრზე სირბილში მსოფლიოს რეკორდთა მპყრობელი იამაიკელი სპრინტერი სარბენ ბილიკზე გამოიწვია და ბოლტაც შეუთვალა, ჩამოვალ ინგლისში და ვირბინოთო.

**რომან თურქია**

# რადა ჯგუფიდან გავარდა



ტომაშ უიფალუში

**ჩეხეთის** ნაკრების კაპიტანმა ტომაშ უიფალუშიმ 7 აპრილს სანაკრებო კარიერა დაასრულა, მეორე დღეს კი ეროვნული გუნდის მწვრთნელი პეტრ რადა მოხსნეს.

რადამ კარელ ბრიუკნერი ევრო 2008-ის შემდეგ შეცვალა და ვერ გაამართლა.

მის ხელში ჩეხებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევის ექვს მატჩში მხოლოდ ორი მოიგეს — სან მარინოსთან და სლოვენიასთან — და ჯგუფში მეოთხე ადგილზე არიან. ლიდერ ჩრდილოირლანდიელებს ხუთი ქულით ჩამორჩებიან.

28 მარტს სტუმრად სლოვენიასთან უგოლო ფრე თამაშეს, 1 აპრილს კი შინ მეზობელ სლოვაკებთან 1:2 წააგეს.

ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციას რადას შემცვლელი ჯერ არ დაუსახელებია.

პრაღაში სლოვაკებთან მარცხის შემდეგ ფედერაციის აღმასკომმა დისციპლინარული სასჯელი გამოუწერა ხუთ ფეხბურთელს: ბაროში, კოვაჩი, ფენინი, მატეიოვსკი და სვერკოში გუნდიდან დროებით მოკვეთა.

ამათ მოკვეთამდე ერთი დღით ადრე კი უიფალუშმა ნაკრებზე უარი თქვა, რომელშიც 2001 წლიდან 78 მატჩი ითამაშა.

ჩეხებს უახლოესი ამხანაგური შეხვედრა ივნისში მალტასთან ელით.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფოგელი სკამიდან გაიქცა

**„ბლექბერნის“** შვეიცარიელი მცველი იოჰან ფოგელი გუნდიდან წავიდა და თავისუფალი აგენტი გახდა. 34 წლის ფეხბურთელი, რომელსაც ნაკრებში 94 მატჩი უთამაშია, სათადარიგოთა სკამზე ჯდომით უკმაყოფილო იყო, რის გამოც მწვრთნელთან და კლუბის შეფებთან უთანხმოება მოუვიდა.

შედეგად, კლუბი და ფოგელი კონტრაქტის გაბათილებაზე მორიგდნენ.

შვეიცარიელი მცველი „ბლექბერნამდე“, „ბეტისში“, „მილანში“, პსვ-ში და „გრასჰოპერსში“ თამაშობდა.

„ბლექბერნში“ შარშან მივიდა და მხოლოდ რვა მატჩი ჩაატარა.

# ძვალი კუნთზე ეკიდა

**„ვალენსიას“** ნახევარმცველმა მანუელ ფერნანდეშმა „ხეტაფესთან“ შეხვედრაში (5 აპრილს) 75 წუთი ფეხმოტეხილმა ითამაშა.

მე-15 წუთზე პორტუგალიელმა მარცხენა ფეხში ტკივილი იგრძნო, მაგრამ შეცვლა არ ითხოვა.

„ძალიან არ ამტკივებია და ამიტომ არ გავედი მოედნიდან. ექიმმა მითხრა, რომ ძლიერმა კუნთებმა გაბზარული ძვალი დაიჭირეს“ — თქვა ფერნანდეშმა, რომლისთვისაც ეს სეზონი დასრულდა.



**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არდამხევის მეგობარი ზიდანი



ზინედინ ზიდანი, ფლორენტინო პერესი და რონალდო

**ზინედინ ზიდანმა** ფლორენტინო პერესის მხარდასაჭერი სიტყვა თქვა. ყოფილ რეალელს მიაჩნია, რომ პერესის გაპრეზიდენტების შემთხვევაში „სამეფო კლუბი" იმ დიდებას დაიბრუნებს, რომელსაც ზიდანი-ფიგუ-რონალდოს დროს მიაღწია.

„მას განსაკუთრებული რამეების კეთება შეუძლია და დარწმუნებული ვარ, რომ „რეალი" ისევ უძლიერესი გახდება მსოფლიოში — თქვა ფრანგმა „კანალ პლუსთან"— მადრიდულ კლუბს ქარიზმატული პრეზიდენტი სჭირდება და პერესი სწორედ ასეთია.

როცა მე „რეალთან" კონტრაქტს ხელი მოვაწერე, პერესს ვუთხარი, რომ ჩემში გადახდილი თანხა (66 მილიონი ევრო) ნამეტანია, რაზეც მან მიპასუხა: „გაცილებით მეტსაც გადავიხდიდი ყოყმანის გარეშე".

აი, ესაა მისი პოლიტიკა. თუ ვინმეს ყიდვა სურს, უკან არაფერზე დაიხევს.

„ლევერკუზენთან" ჩემპიონთა ლიგის ფინალის მერე ჩემს გოლზე მითხრა: „ასეთი გოლებით ყველა ხარჯს ამოვიღებ და მოგებაც დამრჩება".

ვგრძნობ, რომ ფეხბურთში დაბრუნება მსურს და თუ პერესს ჩემი დახმარება დასჭირდება, სიამოვნებით გავხდები მისი მრჩეველი. მით უმეტეს, რომ „რეალიდან" წამოსვლის შემდეგ მასთან კვლავაც ვმეგობრობ და მუდმივად მაქვს ურთიერთობა".

**როზან თურჟია**

# ესპანური ტელეფული

ესპანეთში, ისევე როგორც სხვა ევროპულ ქვეყნებში, ტელეკონტრაქტებიდან კლუბების შემოსავლების სიდიდე თავად კლუბების პოპულარობაზეა დამოკიდებული. გასაკვირი არაა, რომ ყველაზე მეტი ფული ამ გზით „რეალმა" და „ბარსელონამ" მოიხვეჭეს — 221 მილიონი ევრო 2006-2007 წლების სეზონში. შარშანდელი სეზონის მონაცემები კი ახლანდელის დასრულების შემდეგ გამოქვეყნდება...

| გუნდი | შემოს. | ფეხბ. ფასი | კოეფ. |
|---|---|---|---|
| რეალი | 114,8 | 293,2 | 0,39 |
| ბარსელონა | 106.7 | 206 | 0,51 |
| სევილია | 21,1 | 61,3 | 0,34 |
| ვალენსია | 28,9 | 163,7 | 0,17 |
| ვილიარეალი | 11,9 | 71,7 | 0,16 |
| სარაგოსა | 9,8 | 17,4 | 0,56 |
| ატლეტიკო | 18,3 | 111,8 | 0,16 |
| უელვა | - | 1,2 | - |
| ხეტაფე | 8,2 | 22,3 | 0,36 |
| რასინგი | 10 | 21,6 | 0,46 |
| ესპანიოლი | 19,3 | 39,3 | 0,49 |
| მალიორკა | 12,1 | 21,7 | 0,55 |
| დეპორტივო | 13,8 | 138,9 | 0,09 |
| ოსასუნა | 10,8 | 10,3 | 1,08 |
| ლევანტე | - | 10,9 | - |
| ბეტისი | 16,4 | 45,1 | 0,36 |
| ბილბაო | 16,4 | 45,1 | 0,36 |
| სელტა | 10,8 | 60,5 | 0,17 |
| ხიმნასტიკი | - | 1,4 | - |

**„რეალის"** და „ბარსელონას" ტელეშემოსავლები დიდად არ განსხვავდება და სეზონების მიხედვით პირველ მეორე ადგილებს ცვლიან.

თუმცა „ბარსელონა" ბოლო წლებში უფრო ეფექტურად მუშაობს ტელევიზიასთან და კოეფიციენტიდან ჩანს, რომ თითოეულ ფეხბურთელში დახარჯული ერთი ევროდან მოგება უფრო მეტი აქვს, ვიდრე „რეალს".

„ბარსელონას" და „რეალის" გარდა იმ კლუბებიდან, რომლებიც ყველაზე ხშირად არიან ევროთასებზე („დეპორტივო", „სევილია", „ვალენსია", „ვილიარეალი", „სარაგოსა" „ატლეტიკო"), ყველაზე სწორად ფულს „სევილია" ხარჯავდა და ამიტომაც აქვს მაღალი კოეფიციენტი.

შედარებისთვის, „ვალენსიამ" 163 მილიონი გაისროლა ფეხბურთელებში — თითქმის სამჯერ მეტი ვიდრე „სევილიამ", მაგრამ მხოლოდ 7 მილიონით მეტი მიიღო ტელეტრანსლაციებისგან.

პრიმერაში უცუდესი მაჩვენებელი აქვს „დეპორტივოს", რომელიც ცოტა ხნის წინ ჩემპიონთა ლიგის ხშირი სტუმარი იყო — 0,9.

„დეპორის" და „ვალენსიას" მსგავსი კლუბები ბევრს ხარჯავენ ფეხბურთელებში, მაგრამ ტელევიზიისგან მათი შემოსავლები ამით არ იზრდება.

„ვალენსიამ" გაწყვიტა კონტრაქტი „აუდიო ვისუალ სპორტ"-თან და „მედიაპროსთან" გააფორმა ახალი, რომლის მიხედვითაც, წელიწადში 50 მილიონ ევროს მიიღებს, მაგრამ მანამდე იმდენი ჰქონდა დახარჯული ფეხბურთელებში და ახალი სტადიონის მშენებლობაზე, რომ ამ სეზონში დიდძალ ვალში გადავარდა.

პრიმერას ყველა კლუბიდან მხოლოდ ერთმა — „ოსასუნამ" — მიიღო უფრო მეტი თანხა ტელეკონტრაქტებიდან, ვიდრე ფეხბურთელებში დახარჯა.

და ბოლოს — სეზონში ტელეტრანსლაციებიდან პრიმერას კლუბებმა 445 მილიონი ევრო აითვისეს, მაგრამ აქედან თითქმის ნახევარი „რეალს" და „ბარსას" ერგოთ.

**გაჟა ხუციშვილი**



# არ ვიცოდი და არ დამავიწყდება

**5 აპრილს „ასტონ ვილას" კარში ბოლო წუთზე საუცხოო გოლის გამტანი ფედერიკო მაჩედა „მანჩესტერის" გმირად იქცა. 17 წლის იტალიელი უკეთეს დებიუტს ვერც ინატრებდა.**

**„მანამადე მასზე არაფერი მსმენია და ამის მერე აღარასოდეს დამავიწყდება" — თქვა „დეილი მეილის" მიმომხილველმა მეტ ლოუტონმა.**

**ვინ არის ფედერიკო მაჩედა?**

— ფედერიკო მაჩედა 1991 წლის 22 აგვისტოს რომში დაიბადა. პრემიერლიგაში მისი დებიუტი 5 აპრილს „ასტონ ვილასთან" შედგა.

— თანაგუნდელები მეტსახელად „კიკოს"ეძახიან.

— „მანჩესტერამდე" „ლაციოს" ახალგაზრდულ გუნდში თამაშობდა, 2007 წლიდან კი ალექს ფერგიუსონის გუნდშია და შარშან აგვისტოში პროფესიული კონტრაქტი გააფორმა.

— თავისუფალ დროს „კიკო" საუკეთესო მეგობართან და თანაგუნდელთან დავიდე პეტრუჩისთან ჩოგბურთის თამაშით ერთობა. პეტრუჩიც „ლაციოს" აღზრდილია და მაჩედასთან ერთად გადავიდა „მანჩესტერში". ჯერჯერობით 18-წლამდელებშია.

— მიუხედავად იმისა, რომ ძირითად შემადგენლობაში აღმოჩნდა, თანაგუნდელები მაჩედაზე ამბობენ, ვარჯიშებზე ზარმაცობსო.

— „მანჩესტერის" ახალგაზრდულ გუნდში მისი დებიუტი „ბარნსლიისთან" შედგა და გოლი გაიტანა. წინა სეზონში გუნდის ბომბარდირი გახდა 12 გოლით.

— „მილკ კაპ"-ის ტურნირზე „მანჩესტერის" ახალგაზრდულ გუნდში იყო და ფინალში გოლი შეაგდო.

— 2008 წლის თებერვლიდან „მანჩესტერის" სათადარიგოთა გუნდში 18-წლამდელებიდან ყველაზე მეტი მატჩი „კიკომ" ითამაშა და ორი კვირის წინ „ნიუკასლის" სათადარიგოებთან ჰეთ ტრიკი შეასრულა. ამიტომაც უხმო ალექს ფერგიუსონმა მთავარ გუნდში და იტალიელმა გაამართლა — „ასტონ ვილასთან" ბოლო წუთზე გაიტანა.

— მაჩედა იტალიის 18-წლამდელთა ნაკრების წევრია.

— მისი მწვრთნელი „მანჩესტერის" სათადარიგოებში ოლე გუნარ სოლსკიაერია.

— თებერვალში იგი ალექს ფერგიუსონმა ჩემპიონთა ლიგის 30-კაციან განაცხადში შეიყვანა.

— მაჩედას საყვარელი ფილმია „გლადიატორი".

— „კიკო" ამბობს, რომ განსაკუთრებული ყურადღებით აკვირდება უეინ რუნის და კარლოს ტევესის თამაშს.

# პიცურკა გაწყვიტეს



**რუმინეთის** ნაკრების მწვრთნელი ვიქტორ პიცურკა უმუშევარი დარჩა. გუნდის უსახური თამაშის გამო ფეხბურთის ფედერაციამ მას კონტრაქტი გაუწყვიტა.

„პირადად მე დავავალე კონტრაქტის გაწყვეტა ფედერაციის ჩინოვნიკებს, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფიდან ჩვენი გასვლის შანსი ნულის ტოლია" — თქვა ფედერაციის შეფმა მირჩა სანდუმ.

რუმინელებმა ბოლო ორი შეხვედრა წააგეს ავსტრიასთან და სერბებთან და მეხუთე ადგილზე არიან — მხოლოდ ფარერის კუნძულებს უსწრებენ და ლიდერ სერბეთს მთელი რვა ქულით ჩამორჩებიან.

სანდუმ განაცხადა, რომ ნაკრების ახალ მწვრთნელს 10 მაისამდე დანიშნავენ.

**ირაკლი ნინიძე**

## ჩემპიონთა ლიგა 2008–2009
### მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

# ალოგიკური პრობლემას ნიშნავს



მარიანო გონსალესმა „ოლდ ტრაფორდი“ ბოლოსწინა წუთზე დააღონა

**მანჩესტერი 2:2 პორტუ**

**0:1 როდრიგესი (4), 1:1 რუნი (15), 2:1 ტევესი (85), 2:2 გონსალესი (89)**
**მანჩესტერი: ვან დერ სარი, ვიდიჩი, ევანსი (გ. ნევილი 72), ევრა, ოში, კარიკი, სქოულზი (ტევესი 78), ფლეტჩერი, პარკი (გიგზი 59), რუნი, რონალდუ**
**მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი**
**პორტუ: ელტონი, ალვეში, რონალდუ, სისოკო, საპუნარუ, ფერნანდო, მეირელეში (კოშტა 79, ანდრეს მადრიდი 90), ლუჩო გონსალესი, როდრიგესი (მარიანო გონსალესი 80), ულკი, ლოპესი**
**მწვრთნელი: ჟესუალდო ფერეირა**
**გაფრთხილება: ალვეში, ელტონო**
**მსაჯი: კონრად პლაუცი**

**8 კარში დარტყმა 9**
**6 კარისკენ დარტყმა 9**
**12 ჯარიმა 15**
**4 კუთხური 8**
**1 თამაშგარე 1**
**61 ბურთის ფლობა 39**
**0 გაფრთხილება 2**

**ალექს ფერგიუსონი:** „უკვე ვიცი, რომ ურთულესი საპასუხო მატჩი გველის, რადგან „პორტუსთან“ ინგლისურ კლუბებს სტუმრად არასოდეს მოუგიათ.

„პორტუმ“ მეორე ისეთი გაგვიტანა, რომლის გაშვებაც „მანჩესტერს“ არ ეკადრებოდა.

2:1-ზე უნდა გაგვეტანა მესამე და ეს რომ ვერ მოვახერხეთ, მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ. ალოგიკური გოლი იყო და ეს ჩემს გუნდში დაცვის პრობლემაზე მიანიშნებს, რომელიც უკვე ერთი თვეა, აშკარად გვაწუხებს და ჯერ ვერ მოვაგვარეთ.

„ბლექბერნთან“ გაშვებული გოლის მერე ჩვენი მშრალი სერია შეწყდა და დაცვა აირია. თან „პორტუს“ წინ „ასტონ ვილასთან“ მძიმე მატჩმა ბიჭები გადაღალა.“

**ჟესუალდუ ფერეირა:** „ჩემმა გუნდმა ეს შედეგი დაიმსახურა. ჩვენ არ დაგვვიწყებია, რომ ჩემპიონთა ლიგის და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის გამარჯვებულს ვეთამაშებოდით და მაინც შევუქმენით პრობლემები.

ძალიან სასიხარულოა, რომ ბოლო წუთამდე ვიბრძოლეთ და გავათანაბრეთ.

ახლა უნდა დავარწმუნო ფეხბურთელები, რომ შინ უკეთესი შედეგის მიღწევა და ნახევარფინალში გასვლა შეგვიძლია.“

**ვილიარეალი 1:1 არსენალი**

**1:0 სენა (10) 1:1 ადებაიორი (66)**
**ვილიარეალი: დიეგო ლოპესი, გოდინი, გონსალო, კაპდევილა, ანხელ ლოპესი, ეგურენი, სენა, იბაგასა (ფრანკო 78), კანი (ფერნანდესი 45), ლორენტე (პირესი 70) , როსი**
**მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი**
**არსენალი: ალმუნია (ფაბიანსკი 27) , გალასი (ჯურუ 42), ტურე, კლიჩი, სანია, დენილსონი, სონგ, ფაბრეგასი, ნასრი, უოლკოტი (ებუ 78), ადებაიორი**
**მწვრთნელი: არსენ ვენგერი**
**გაფრთხილება: სონგი, ადებაიორი, ფაბრეგასი, ნასრი**
**მსაჯი: ტომ ოვრებო**

**3 კარში დარტყმა 3**
**10 კარისკენ დარტყმა 9**
**10 ჯარიმა 15**
**8 კუთხური 11**
**0 თამაშგარე 5**
**54 ბურთის ფლობა 43**
**0 გაფრთხილება 4**

**მანუელ პელეგრინი:** „შესვენებამდე იდეალურად ვითამაშეთ და მეტოქეს ვაჯობეთ, მეორეში კი თანაბრობა იყო. პირველ ტაიმში პრესინგი გამოვიყენეთ და ამან ასი პროცენტით გაამართლა.

შედეგი ალოგიკურად მიმაჩნია, რადგან ჩვენ უფრო მეტი მომენტი გვქონდა და გამარჯვებას ვიმსახურებდით.

მეორე ტაიმში ჩამშლელი რუბენ კანი შემტევი მატიას ფერნანდესით რომ შევცვალე, ამის მერე გაუჩნდა „არსენალს“ სივრცეები.

მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ნახევარფინალში გავალთ. მერვედფინალში „პანათინაიკოსთანაც“ შინ ასეთი ანგარიშით ვითამაშეთ, მაგრამ საპასუხოში მოვიგეთ. მართალია, „არსენალს“ საკუთარი სტადიონის უპირატესობა ექნება, თუმც ჩვენ ახლა თანაბარი ძალის გუნდები ვართ.“

**არსენ ვენგერი:** „ორივე გუნდმა მაღალ ტემპში შემტევი ფეხბურთი ითამაშა.

კანი და იბაგასა თავიდანვე სჯობდნენ ჩვენ ნახევარმცველებს და მოედნის ცენტრში უპირატესობა ამის ხარჯზე მოიპოვეს.

მთელი სეზონის განმავლობაში ვამტკიცებდით, რომ ფსიქოლოგიურად ძლიერები ვართ და ეს აქაც გამოჩნდა, რადგან მეორე ტაიმში გავათანაბრეთ. ჩემი ახალგაზრდა ფეხბურთელები რთულ ვითარებაში არ იბნევიან და პირიქით, უკეთ თამაშობენ.

ალმუნია და გალასი დაშავდნენ და მათი შეცვლა მომიხდა, მაგრამ შემცვლელებმაც გაამართლეს.

ალმუნია ალბათ, ორ კვირაში გამოკეთდება, გალასი კი სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

საპასუხო მატჩისთვის ეგებ, ვან პერსი და ედუარდო გამოჯანმრთელდნენ.“

**ბარსელონა 4:0 ბაიერნი**

**1:0 მესი (9), 2:0 ეტოო (12), 3:0 მესი (38), 4:0 ანრი (43)**
**ბარსელონა: ვალდესი, მარკესი, პიკე, პუიოლი, ალვეში, ტურე (ბუსკეტსი 81), ხავი, ინიესტა, მესი, ანრი (კეიტა 74), ეტოო (კრკიჩი 90)**
**მწვრთნელი: ხოსეპ გვარდიოლა**
**ბაიერნი: ბუტი, ბრენო, დემიკელისი, ლელი, ოდო, ვან ბომელი, ზე რობერტო (სოუსა 77), შვაინშტაიგერი, რიბერი, ალთინთოფი (ოტლი 45), ტონი**
**მწვრთნელი: იურგენ კლინსმანი**
**გაფრთხილება: მესი, მარკესი, ლელი, დემიკელისი**
**მსაჯი: ჰოვარდ ვები**

**6 კარში დარტყმა 1**
**13 კარისკენ დარტყმა 4**
**13 ჯარიმა 22**
**12 კუთხური 1**
**1 თამაშგარე 3**
**69 ბურთის ფლობა 31**
**2 გაფრთხილება 2**

**ხოსეპ გვარდიოლა:** „ჩემმა გუნდმა ყველაფერი უმაღლეს დონეზე შეასრულა და ყოველი მეტრისთვის იბრძოლა. საუცხოო ფეხბურთით და ოთხბურთიანი სხვაობით მოვიგეთ, რაც საპასუხო მატჩის წინ იმედიანად განმაწყობს.

მთავარი იყო, რიბერისთვის და ტონისთვის გასაქანი არ მიგვეცა და ეს მოვახერხეთ.

„ბაიერნი“ ძალიან იშვიათად აღწევდა ჩვენ საჯარიმომდე, რაც დიდად სასიხარულოა.

მთელი სეზონი ასე კარგად იმიტომ ვთამაშობთ, რომ თითოეული ფეხბურთელი ბოლომდე იხარჯება.

სტუმრად ერთი მაინც უნდა გავიტანოთ და ნახევარფინალში გავიდეთ.

რაც შეეხება ჩემს გაძევებას, ვცდილობდი კარგად მოვქცეულიყავი, მაგრამ არ გამომივიდა. „ბარსელონას“ მწვრთნელს ასეთი გამოხდომა არ ეკადრება“.

**იურგენ კლინსმანი:** „რა თქმა უნდა, საშინელ ხასიათზე ვარ. ძნელია ამ მარცხის მიზეზის ახსნა. ყოველი მეტკაველისთვის უნდა გვებრძოლა, მაგრამ ორმა სწრაფმა გოლმა გუნდი დაშალა.

ჩემი ფეხბურთელები ძალიან ნელა მოძრაობდნენ და უგულოდ ირჯებოდნენ.

კრიტიკას როგორმე გადავიტანთ და საპასუხო მატჩში ღირსეულად ვიბრძოლებთ.

არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენ „კამპ ნოუზე“ სწორედ ჩემპიონთა თასის მომავალ მფლობელთან წავაგეთ.

ძალიან მინდოდა, რომ ევროპის საუკეთესო ოთხ კლუბში მოვხვედრილიყავით, მაგრამ ამის გაკეთება 0:4-ის მერე რთული იქნება.

ალბათ, ბუნდესლიგაზე გადავერთვებით, რათა მომავალ სეზონში კვლავ ვცადოთ ბედი ჩემპიონთა ლიგაში“.

**ლივერპული 1:3 ჩელსი**

**1:0 ტორესი (6), 1:1, 1:2 ივანოვიჩი (39, 62), 1:3 დროგბა (67)**
**ლივერპული: რეინა, კარაგერი, შკრტელი, აურელიო (დოსენა 75), არბელოა, ალონსო, ლუკასი (ბაბელი 79), ჯერარდი, რიერა (ბენაიუნი 67), კუიტი, ტორესი**
**მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი**
**ჩელსი: ჩეხი, ტერი, ალექსი, ეშლი კოული, ივანოვიჩი, ესიენი, ლამპარდი, ბალაკი, მალუდა, კალუ, დროგბა (ანელკა 80)**
**მწვრთნელი: გუს ჰიდინკი**
**გაფრთხილება: აურელიო, კალუ, ტერი**
**მსაჯი: კლაუს ბო ლარსენი**

**2 კარში დარტყმა 9**
**10 კარისკენ დარტყმა 12**
**11 ჯარიმა 14**
**6 კუთხური 9**
**1 თამაშგარე 2**
**59 ბურთის ფლობა 41**
**1 გაფრთხილება 2**

**რაფაელ ბენიტესი:** „კარგად დავიწყეთ, მაგრამ ინიციატივა მალევე დავთმეთ. ორი გოლი კუთხურის შედეგად გავუშვით, რაც დაცვის უყურადღებობაზე მიუთითებს.

„ჩელსის“ თავით კარგად მოთამაშე ხუთი-ექვსი ფეხბურთელი ჰყავს და ყველას აყვანა ძნელია.

პირველი გოლისას ივანოვიჩის გარშემო სამი მცველი იდგა და არც ერთმა ხელი არ შეუშალა.

ახლა ურთულეს ვითარებაში ვართ, რადგან სტუმრად ასეთივე ანგარიშით მოგება გვჭირდება დამატებით დრომდე მისასვლელად.

**გუს ჰიდინკი:** „ვწუხვარ, რომ მეტი ვერ გავიტანეთ. უფრო სერიოზულად თუ ვიტყვი, „ენფილდზე“ თამაში ძალიან ძნელია და გამარჯვება მით უფრო ძვირფასია.

ვაღიარებ, რომ ასეთი შედეგით მოგება ჩემთვის დიდად მოულოდნელია.

აქედან ფრით წასული გუნდებიც კი კმაყოფილები არიან, მე კი ვგრძნობდი, რომ გამარჯვება შეგვეძლო.

„ლივერპული“ კუთხურებისას ზონურად იცავდა თავს, სათითაოდ მეტოქეს არ იყვანდნენ და ამიტომაც გაიტანა ორი გოლი ივანოვიჩმა.“

**ვაჟა ხუციშვილი**



ლეო მესიმ და სამუელ ეტოომ „ბაიერნი“ დაიჩოქეს

UEFA CUP **უეფას თასი 2008-09. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები**

# მარსელი გახურებისას დაიბნა

## როგორ ითამაშებდა რობინიო რაგბის?



ჰამბურგელმა პაოლო გერერომ შეი გივენს მესამე გაუტანა

**შახტარი 2:0 მარსელი**

1:0 ჰუბშმანი (39), 2:0 ჟადსონი (65)
**შახტარი:** პიატოვი, იშჩენკო, რატი, ჩიგრინსკი, ჰუბშმანი, ფერნანდინიო (ლევანდოვსკი 80), ჟადსონი, ილსინიო (ვილიანი 63), გაი, სრნა, ადრიანო (გლადკი 89)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
**მარსელი:** მანდანდა, მეარსი, სიველი, ტაივო, ილტონი, ბენუა შეირუ, მბამი (ვალბუენა 68), კანა, ზენდენი (სამასა 78), ნიანგი, ბაკარი კონე
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: მბამი, იშჩენკო
მსაჯი: ფელიქს ბრიხი

8 კარში დარტყმა 4
3 კარისკენ დარტყმა 8
7 ჯარიმა 7
5 კუთხური 7
5 თამაშგარე 1
60 ბურთის ფლობა 40
1 გაფრთხილება 1

**მირჩა ლუჩესკუ:** „წაგების მიუხედავად, „მარსელმა“ კარგი ფეხბურთი აჩვენა და დარწმუნებული ვარ, რომ „ველოდრომზე“ რთული საპასუხო მატჩი გველის.

აქამდე თუ ზოგიერთ შეხვედრაში გამოუცდელი გუნდივით ვთამაშობდით, ამჯერად ჭკვიანური ფეხბურთი ვაჩვენეთ.

პირველ ტაიმში მეტოქეს აშკარად ვჯობდით და მეტის გატანაც შეგვეძლო“.

**ერიკ გერეტსი:** „მეორე ტაიმი კარგად დავიწყეთ და რამდენიმე საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ამ დროს ვალბუენა გასახურებლად გავუშვი და სწორედ მაშინ გაგვიტანეს მეორე. ამის მერე ჩემი გუნდი დაიბნა და თამაში დაკარგა“.

**ჰამბურგი 3:1 სიტი**

0:1 აირლანდი (1), 1:1 მატიისენი (9), 2:1 ტროხოვსკი (63 პენ), 3:1 გერერო (79)
**ჰამბურგი:** როსტი, გრავგაარდი, მატიისენი, იანსენი, ბენჟამინი, პიტროიპა, იაროლიმი, აოგო, ტროხოვსკი, პეტრიჩი, ოლიჩი (გერერო 71)
მწვრთნელი: მარტინ იოლი
**სიტი:** გივენი, რიჩარდსი, დანი, ონუოჰა, ბრიჯი (გარიდო 46), საბალეტა, რაიტ-ფილიპსი (ჟელსონი 83), აირლანდი, სტარიჯი (მვარუვარი 62), ბელამი, რობინიო
მწვრთნელი: მარკ ჰიუზი
გაფრთხილება: ტროხოვსკი, ბელამი, გივენი, პიტროიპა
მსაჯი: ოლეგარიუ ბენკერენსა

8 კარში დარტყმა 3
5 კარისკენ დარტყმა 2
20 ჯარიმა 14
18 კუთხური 13
2 თამაშგარე 3
55 ბურთის ფლობა 45
2 გაფრთხილება 2

**მარტინ იოლი:** „პირველივე წუთზე გაშვებულ გოლს თუ არ ჩავთვლით, ჩემმა გუნდმა დღეს კარგად ითამაშა.

მეორე ტაიმში მეტოქეზე ერთი თავით მაღლა ვიდექით.

„სიტის“ გოლი კი რობინიომ შექმნა. როცა ბურთით ბრაზილიელია, ორი კაცის მეურვეობა სჭირდება. რობინიომ მაინც მოახერხა უზუსტესი პასის გაკეთება აირლანდისკენ, ასეთი პასები ხელით რაგბიში კეთდება“.

**მარკ ჰიუზი:** „ორბურთიანი სხვაობით მარცხი საქმეს გვირთულებს საპასუხო მატჩში, მაგრამ აქამდეც არაერთხელ დაგვიმტკიცებია, რომ ასეთი ჩამორჩენის გაბათილება შეგვიძლია...

„ჰამბურგი“ ძლიერი გუნდია, მაგრამ ნახევარფინალისტის ვინაობა მანჩესტერული მატჩის შემდეგ გაირკვევა“.

**ვერდერი 3:1 უდინეზე**

1:0, 2:0 დიეგო (34, 67), 3:0 ალმეიდა (69), 3:1 კვალიარელა (87)
**ვერდერი:** ვიზე, მერტესაკერი, ნალდო, ფრიცი, ბიონიხი (პასანენი 81), ოზილი (ნიემაიერი 76), ფრინგსი, ციოლისი, დიეგო, პიზარო, ალმეიდა (ჰუნტი 71)
მწვრთნელი: თომას შააფი
**უდინეზე:** ჰანდაროვიჩი, საპატა, ფელიპე, დომიცი, პასკუალე, ინლერი (ობოდო 81), დაგოსტინო, ასამოა, პეპე (ფლორო ფლორესი 72), კვალიარელა, სანჩესი
მწვრთნელი: პასკუალე მარინო
გაფრთხილება: ფრიმგსი, პასკუალე, ციოლისი
მსაჯი: ლორან დუამელი

4 კარში დარტყმა 6
2 კარისკენ დარტყმა 5
18 ჯარიმა 14
5 კუთხური 1
3 თამაშგარე 4
46 ბურთის ფლობა 54
2 გაფრთხილება 1

**თომას შააფი:** „უდინეზეს“ დონის გუნდის კარში სამი გოლის გატანა იოლი საქმე არაა. მართალია, მეტოქესაც ჰქონდა ბევრი საგოლე მომენტი, მაგრამ ჩვენ უფრო ეფექტურები ვიყავით და უკეთ გამოვიყენეთ მომენტები.

დიეგომ გაიბრწყინა ორივე გოლისას და უმაღლესი კლასი აჩვენა, მაგრამ გუნდი დიეგოს არ უნდა ჩამოეკიდოს, ყველამ თავდაუზოგავად უნდა იშრომოს“.

**პასკუალე მარინო:** „სამწუხაროდ, სამივე გოლი ბავშვური შეცდომების გამო გავუშვით. მეორე ტაიმში ექვსი-შვიდი საგოლე ეპიზოდი გვქონდა და მარტო კვალიარელას სამის გატანა შეეძლო.

მარცხის მიუხედავად, კმაყოფილი ვარ იმით, რომ 0:3-ზეც ბოლომდე ვიბრძოლეთ“.

**პსჟ 0:0 დინამო**

**პსჟ:** ლანდრო, სეარა, კამარა, ტრაორე, მაკონდა, სესენონი (პანკრატი 88), შანტონი, კლემენტი, როტენი, ლუინდულა (კეზმანი 61), ოარო (მორისი 75)
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
**დინამო:** ბოგუსი, ბეატაო, საბლიჩი, ელ კადური, იუსუფი, ერიომენკო, ვუკოიევიჩი, ალიევი (ჩერნატი 73), ნინკოვიჩი, კორეა (გუსევი 84), მილიევსკი
მწვრთნელი; იური სიომინი
მსაჯი: პიტერ ვინკი

3 კარში დარტყმა 1
5 კარისკენ დარტყმა 5
17 ჯარიმა 15
1 კუთხური 5
1 თამაშგარე 0
53 ბურთის ფლობა 47
0 გაფრთხილება 0

**პოლ ლე გუენი:** „პირველ რიგში კარგია, რომ საკუთარ მოედანზე არ გავუშვით. „დინამო“ კერკეტი კაკალი გამოდგა, მაგრამ ნახევარფინალში გასვლის შანსი მაინც თანაბარია“.

**იური სიომინი:** „შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა და მაინც კარგად ვითამაშეთ — ნახევარფინალში გასვლის შანსი გვაქვს“.

**ვაჟა ხუციშვილი**



დონეცკელმა ჟადსონმა მარსელური მატჩის წინ „შახტარს “ გვარიანი უპირატესობა მოუტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ადრიანომ, წავედი სახლშიო



**ადრიანოს** ტანჯვა-წვალება დასრულდა — ფეხბურთიდან დროებით წავიდა, დავისვენებო.

„ავად არ ვარ და არც ფსიქოლოგიური პრობლემები მაქვს, როგორც ხალხი ლაპარაკობს, მაგრამ მე ჩემს ოჯახთან ყოფნა მსურს, ადამიანებთან, რომლებსაც ვუყვარვარ. ამიტომ გადავწყვიტე გრძელი შვებულება ავიღო და ფეხბურთისგან დავისვენო — თქვა „იმპერატორმა“ რიოში პრესკონფერენციაზე — ჭორებისგან და ყბედობისგან დასვენება მინდა. „ინტერისგან“ ხელფასზეც უარს ვიტყვი.

ჩემი მეგობრები კრიმინალები არ არიან, რასაც მედია მაბრალებს, მაგრამ იმ რაიონში, სადაც მე გავიზარდე, ნარკოვაჭრები რომ არსებობენ, ეს ახალი ამბავი არაა და მე მათთან არანაირი კავშირი არ მაქვს“.

ადრიანოს აგენტი ჟილმარ რინალდი დღეს მილანში ჩავა „ინტერის“ შეფებთან ადრიანოს მომავალზე სალაპარაკოდ.

ადრიანო ორი კვირის წინ გაემგზავრა სამშობლოში სანაკრებო მატჩების სათამაშოდ, მაგრამ მეორე დღესვე ყვითელი გაზეთების თავფურცლებზე გამოჩნდა.

გაზეთები წერდნენ, რომ „ინტერის“ ფეხბურთელმა სახლში დიდი სექს-ფართი მოაწყო.

შესარჩევების დასრულების შემდეგ კი იტალიაში არ დაბრუნდა. სადღაც გაქრა და მერე თქვა, რომ რეისზე დამაგვიანდაო.

საბოლოოდ აირია და შინ დარჩა.

ადრიანოს პირველი პროფესიული გუნდი „ფლამენგო“ იყო. 2001 წელს „ინტერმა“ წაიყვანა. ჯერ „ფიორენტინაში“ გაანათხოვრა და მერე „პარმაში“.

2005 წლიდან „ინტერშია“, სადაც 121 მატჩში 48 გოლი გაიტანა.

ბრაზილიის ნაკრებში 51 მატჩში 31 გოლი გაიტანა.

ტოტალიზატორი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული

კოდი წყვილი შედეგი კოეფ-ტი სისტ

(რუბრიკის სპონსორია ჭაბურღილი)

— „ჩელსის“ ყოფილი ტრენერები როგორ წყვილად ყომარობენ, აზრზე ხარ?

— რანიერი კიდე იასნი პონტია, იტალიელია და არ ესწავლება, როგორ გატეხოს, მარა ამ მოურინიუს როდის გადაუსხეს სისხლი?

— როდის? „პალერმოსთან“ მატჩის პერერივზე. უჭველი ვიცი.

აბა, რა ზღაპარია, „პალერმოს“ დვა ნოლს უგებდე, ჩემპიონობა გინდოდეს და ორი გოლი გაუშვა სამ წუთში? იავნი ნაყომარები არაა, ტო?

— მამენტ ეგრეა, მარა რაღა მაშინ გადაუსხეს, როცა მე ჩავწერე „ინტერის“ ერთიანი?

— შენ კი არა, მოურინიუს ბიძაშვილებსაც ლაბავოი ერთიანები ეწერათ, მარა, მორატი რო სისხლს გადაუსხამს, მერე ბიძაშვილ-ნათესავის ქვითრები სულ კუთხურის ფლაჟოკზე არა ჰკიდია?

ნავთობი გაიაფდა, მორატის ჭაბურღილები გაჩერდა და ეხლა პალერმოელ მაფიოზებს შეეკრა.

— ეს რანიერი ვილას შეეკრა, ტო! სასტავი ცვეტში ეწეოდა „ინტერს“ და ექვსი ქულადა რჩებოდა სახვაობა „ჯენოასთვის“ რო მოეგო. ნიჩია მაინც ეთამაშა და ცხრა ქულა დარჩებოდა. მეთქი, იქსდვას არ გაექცევა, და იქსდვაში მივაბი „ინტერის“ ერთიანს.

— შენ რო მიაბი, იქ იციან, სადაც საჭიროა. ეგრეა, ძმაო, პროცესს გეთამაშებიან, პროცესს ტო, ვერ ტვინავ? შენზე კარგად იციან, ბილეთში რა გიწერია.

ეგ რანიერი იავნად მოურინიუსთანაა შეკრული. დაჟე იმასაც ამბობენ, რომ ერთმანეთს ხელზე უმაზავენ, ოღონდ შედეგზე არა, მარტო მეტ-ნაკლებზე თამაშობენო.

— პროსტაამც, თითქმის უეჭველი ვიცი, იმენა ვგრძნობ, რო მაგათ ჰიდინკიც შეეკრა და ერთი ჩელსური დაჯგუფება გააკეთეს, რო პატიოსანი იგროკების მთელი მაყუთები მიითვისონ.

— ჰიდინკი? მამენტ ეგაც შეიძლება, ისეთი ხოდი გააკეთა „ბოლტონთან“. მე ვინც ვნახე შაბათს, ყველას „ჩელსის“ ფორით ერთიანები ეწერათ „ბოლტონთან“ და ჩიტირი ნოლიდან ჩიტირი ტრი არ შეასრულეს უცბათ ბიჭებმა?

თან ჰიდინკმა რა იკისრა აზრზე ხარ?

— რა პონტში?

— ჩიტირი ნოლზე დროგბა შეცვლა, რო მეტი აღარ გაეტანათ და უცბდათ სამი გოლი არ გაუშვეს? ნაჩალიჩარი არაა? რამდენი ფორიანი ბილეთი დაიხა, მოწვი?

— „ჩელსი“-„ლივერპულის“ ატვეტნიზე რას ფიქრობ ლიგაში?

— უეჭველი ვიცი, რო ჩელსი იყომარებს. 1:3-ს წააგებს ანსავნოის და მერე პენალტებში მოიგებს.

**ძუში ძოშმარია**

ჩემი მოგებული ბილეთი:

| სინგაპური | წყვილი | შედეგი | დაჯდა |
|---|---|---|---|
| 001 | სენგკანგ პუნგოლი-სინგაპურ არმედ ფორსი | ჯაიტანს ხუთივე | 1:7 |

მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ თუ რომელ ტოტალიზატორში გააგზავნა ჰიდინკმა შეცვლილი დროგბა.

114140 *



დევიდ ბექემი

# რა ხდება ჯიბეში?

ჟურნალმა „ფორბსმა“ 2008 წლის 20 ყველაზე შემოსავლიანი ფეხბურთელის ნუსხა ჩამოწერა.

ოცეულში ცხრა პრემიერლიგელია, ექვსნი სერია A-დან არიან, ოთხიც პრიმერადივიზიონიდანაა და ბრაზილიიდან რონალდოა.

ცხრილის თავშია დევიდ ბექემი შარშან ნაშოვნი 46 მილიონი დოლარით...

| ფეხბურთელი | შემოსავალი | კლუბი | ლიგა |
|---|---|---|---|
| დევიდ ბექემი | 46 000 000 | მილანი | სერია ა |
| რონალდინიო | 33 000 000 | მილანი | სერია ა |
| ტიერი ანრი | 28 000 000 | ბარსელონა | ლა ლიგა |
| კაკა | 22 000 000 | მილანი | სერია ა |
| კრიშტიანუ რონალდუ | 21 000 000 | მანჩესტერი | პრემიერლიგა |
| ლიონელ მესი | 18 000 000 | ბარსელონა | ლა ლიგა |
| ფრენკ ლამპარდი | 18 000 000 | ჩელსი | პრემიერლიგა |
| უეინ რუნი | 18 000 000 | მანჩესტერი | პრემიერლიგა |
| ჯონ ტერი | 18 000 000 | ჩელსი | პრემიერლიგა |
| სტივენ ჯერარდი | 18 000 000 | ლივერპული | პრემიერლიგა |
| მიხაელ ბალაკი | 15 000 000 | ჩელსი | პრემიერლიგა |
| რონალდო | 15 000 000 | კორინთიანსი | ბრაზილიერო |
| ფაბიო კანავარო | 15 000 000 | რეალი | ლა ლიგა |
| ფრანჩესკო ტოტი | 15 000 000 | რომა | სერია ა |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი | 14 000 000 | ინტერი | სერია ა |
| ანდრეი შევჩენკო | 14 000 000 | მილანი | სერია ა |
| რიო ფერდინანდი | 14 000 000 | მანჩესტერი | პრემიერლიგა |
| დიდიე დროგბა | 12 000 000 | ჩელსი | პრემიერლიგა |
| რაული | 12 000 000 | რეალი | ლა ლიგა |
| ალესანდრო დელ პიერო | 11 000 000 | იუვენტუსი | სერია ა |

# გუტი გამოიკითხეს და განიკითხეს

**ხოსე მარია გუტიერესი**



„რეალის“ გულშემატკივრებმა მოიძულეს და მწვრთნელსაც აღარ ეხატება გულზე.

4 აპრილს „მალაგასთან“ გასვლით მატჩში გუტიმ 85-ე წუთზე შეცვლაზე შესვლა იუარა და ხუანდე რამოსი გააბრაზა.

ფიზმომზადების მწვრთნელმა ხორდი გარსიამ ფეხბურთელს გახურება უბრძანა, მაგრამ პასუხად უარი მიიღო.

„ას“-ის გამოკითხვით, 20 ათასი გულშემატკივრიდან 73 პროცენტმა ამ ზაყხული გუტის გაყიდვას დაუჭირა მხარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ინგლისი

## პრემიერლიგა. XXXII ტური

# ჯადო მაჩედა

**ლივერპული 4:0 ბლექბერნი**
1:0, 2:0 ტორესი (5, 33), 3:0 აგერი (83), 4:0 ნგოგი (90)
გაფრთხილება: აგერი, ალონსო (ლივერპული), ენდრიუსი (ბლექბერნი)
მსაჯი: მაიკ რაილი
10 კარში დარტყმა 6
13 კარისკენ დარტყმა 5
9 ჯარიმა 13
7 კუთხური 2
0 თამაშგარე 3
68 ბურთის ფლობა 32
2 გაფრთხილება 1

**მიდლსბრო 3:1 ჰალი**
1:0 თუნჯაი (3), 1:1 მანუშო (9), 2:1 ბეიტსი (29), 3:1 კინგი (90)
გაფრთხილება: თუნჯაი, ბეიტსი, ტეილორი (მიდლსბრო), ეშბი, რიკეტსი (ჰალი)
მსაჯი: ფილ დოუდი
8 კარში დარტყმა 3
9 კარისკენ დარტყმა 11
15 ჯარიმა 18
3 კუთხური 3
4 თამაშგარე 4
50 ბურთის ფლობა 50
3 გაფრთხილება 2

**პორტსმუთი 2:2 ვესტ ბრომვიჩი**
1:0 კაბული (33), 1:1 გრინინგი (48), 1:2 ბრანტი (62), 2:2 კრანჩარი (65)
გაფრთხილება: ჰრეიდარსონი, კრანჩარი, კაბული (პორტსმუთი), დორანსი (ვესტ ბრომვიჩი)
მსაჯი: მაიკ დინი
4 კარში დარტყმა 7
9 კარისკენ დარტყმა 5
16 ჯარიმა 12
4 კუთხური 2
2 თამაშგარე 4
48 ბურთის ფლობა 52
3 გაფრთხილება 1

**სანდერლენდი 1:2 მანჩესტერი**
0:1 სქოულზი (19), 1:1 ჯონსი (55), 1:2 მაჩედა (76)
გაფრთხილება: ფერდინანდი (სანდერლენდი), ნევილი, რუნი (მანჩესტერი)
მსაჯი: რობ სტაილსი
4 კარში დარტყმა 3
15 კარისკენ დარტყმა 17
7 ჯარიმა 6
5 კუთხური 4
0 თამაშგარე 1
34 ბურთის ფლობა 66
1 გაფრთხილება 2

**ტოტენჰემი 1:0 ვესტ ჰემი**
1:0 პავლიუჩენკო (65)
გაფრთხილება: ზოკორა (ტოტენჰემი), ბოა მორტე, ნილი, დი მიკელე, ნობლე, კოლინზი (ვესტ ჰემი)
მსაჯი: მარტინ ატკინსონი
7 კარში დარტყმა 3
11 კარისკენ დარტყმა 5
10 ჯარიმა 16
10 კუთხური 1
2 თამაშგარე 4
59 ბურთის ფლობა 41
1 გაფრთხილება 5

**უიგანი 1:4 არსენალი**
1:0 მიდო (18), 1:1 უოლკოტი (61), 1:2 სილვესტრი (71), 1:3 არშავინი (90), 1:4 სონგ ბილონგი (90)
გაფრთხლიება: ბრაუნი, ბოისი, ბრამბლი (უიგანი), გიბსი, ვან პერსი, სონგი (არსენალი)
მსაჯი: ალან ვაილი
2 კარში დარტყმა 5
13 კარისკენ დარტყმა 12
15 ჯარიმა 18
6 კუთხური 5
9 თამაშგარე 2
39 ბურთის ფლობა 61
3 გაფრთხილება 3

**ჩელსი 4:3 ბოლტონი**
1:0 ბალაკი (40), 2:0 დროგბა (48), 3:0 ლამპარდი (60პ), 4:0 დროგბა (63), 4:1 ობრაიენი (70), 4:2 ბაშამი (74), 4:3 ტეილორი (78)
მსაჯი: პიტერ უოლტონი
10 კარში დარტყმა 5
16 კარისკენ დარტყმა 13
11 ჯარიმა 18
8 კუთხური 3
3 თამაშგარე 2
71 ბურთის ფლობა 29
0 გაფრთხილება 0

**ასტონ ვილა 3:3 ევერტონი**
0:1 ფელაინი (19), 0:2 კეჰილი (23), 1:2 კარეუ (33), 1:3 პიენაარი (53), 2:3 მილნერი (55), 3:3 ბერი (66 პ)
გაფრთხილება: ჰიბერტი, ნევილი (ევერტონი)
მსაჯი: ჰოვარდ ვები
6 კარში დარტყმა 5
11 კარისკენ დარტყმა 5
10 ჯარიმა 19
11 კუთხური 7
3 თამაშგარე 2
48 ბურთის ფლობა 52
0 გაფრთხილება 2

**სიტი 1:3 ფულემი**
1:0 აირლენდი (28), 1:1 დემპსი (50), 1:2 ეტუჰუ (59), 1:3 დემპსი (59)
გაფრთხილება: კონჩესკი (ფულემი)
მსაჯი: მარკ ჰეისლი
5 კარში დარტყმა 6
11 კარისკენ დარტყმა 10
10 ჯარიმა 8
8 კუთხური 3
2 თამაშგარე 4
53 ბურთის ფლობა 47
0 გაფრთხილება 1

**სტოკი 1:1 ნიუკასლი**
1:0 დიაო-ფაიე (33), 1:1 კაროლი (81)
გაფრთხილება: ეზერინგტონი, უილკინსონი, ფულერი, ლოურენსი (სტოკი), ბასონგი, ტეილორი (ნიუკასლი)
მსაჯი: კრის ფოი
5 კარში დარტყმა 2
16 კარისკენ დარტყმა 8
14 ჯარიმა 12
9 კუთხური 3
1 თამაშგარე 0
38 ბურთის ფლობა 62
4 გაფრთხილება 2

**„მანჩესტერმა“** ზედიზედ მეორე თამაში მოიგო 17 წლის მაჩედას გოლით და პირველი ადგილი შეინარჩუნა.

იტალიელი ფორვარდი, როგორც წინა ტურში „ასტონ ვილასთან“, შეცვლაზე შევიდა როცა „მანჩესტერს“ გაუჭირდა.

კარიკის დარტყმულ ბურთს ერთი შეხებით გეზი შეუცვალა და ალექს ფერგიუსონს სამი ქულა მიართვა.

კითხვაზე, თუ რა უთხრა იტალიელს მოედანზე შესვლის წინ, ფერგიუსონმა უპასუხა: „არაფერი. მან იცის რაც უნდა აკეთოს“.

ანგარიში სქოულზმა თავურით გახსნა, ჯონსმა კი ფოსტერის შეცდომის შედეგად გაათანაბრა, რადგან მეკარე ბურთს ვერ მისწვდა, რომელიც ჯონსის ფეხთან აღმოჩნდა.

„ლივერპულმა“ „ბლექბერნს“ გადაურბინა და კვალში უდგას „მანჩესტერს“. ტორესის ორი გოლიდან პირველი საარაკო იყო. კარისკენ ზურგით მდგარმა ფეხი როგორ ამოსცხო ბურთს და როგორ ჩაუშვა მეკარის კეფის უკან, მარტო ბურთმა თუ იცის.

მეორე თავით შეაგდო, მერე კი აგერმა 25 მეტრიდან ცხრიანში შასრიალა.

შეცვლაზე შესულმა ნგოგმა კარის ხაზიდან მეოთხე გაიტანა.

„ჩელსიმ“ კინაღამ დიდი სირცხვილი ჭამა, რადგან ოთხბურთიანი სხვაობა ხელიდან ლამის გაუსხლტა.

4:0-ზე ჰიდინკმა თავი დაიარხეინა და ლამპარდი და დროგბა გაიყვანა. „ბოლტონის“ მწვრთნელმა კი შეცვლები გამოიცნო. ჯერ მეორე ტაიმის დასაწყისში შესულმა ობრაიენმა გაიტანა, მერე ასევე შეცვლაზე შესულმა ბაშამმა და ბოლოს ტეილორმა სხვაობა ერთამდე შეამცირა. ეს მოხდა რვა წუთში და მეკარე ჩეხი სამჯერვე მძინარეს ჰგავდა.

„არსენალმა“ ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მიითვალა და წაუგებელი სერია 18 მატჩამდე გაზარდა, თუმც კი „უიგანთან“ თავიდან აგებდა მიდოს გოლით.

მეორე ტაიმში უოლკოტმა გაათანაბრა, მერე სილვესტრმა წინ გაიყვანა სტუმრები და ბოლოს არშავინმა და სონგ ბილონგმაც თითოთითო მიაყოლეს.

ალან შირერმა სამწვრთნელო კარიერაში პირველი ქულა „სტოკთან“ ჩაიწერა. ენდი კეროლმა შეცვლაზე შესვლიდან 11 წუთში გაიტანა და „ნიუკასლი“ მარცხისგან იხსნა, რომელსაც უკვე შვიდი ტურია, არ მოუგია.

**გაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 31 | 22 | 5 | 4 | 54:21 | 71 |
| ლივერპული | 32 | 20 | 10 | 2 | 59:21 | 70 |
| ჩელსი | 32 | 20 | 7 | 5 | 55:20 | 67 |
| არსენალი | 32 | 17 | 10 | 5 | 54:28 | 61 |
| ასტონ ვილა | 32 | 15 | 8 | 9 | 48:42 | 53 |
| ევერტონი | 32 | 14 | 10 | 8 | 47:34 | 52 |
| ვესტ ჰემი | 32 | 12 | 8 | 12 | 37:36 | 44 |
| ფულემი | 32 | 11 | 10 | 11 | 33:28 | 43 |
| ტოტენჰემი | 32 | 11 | 8 | 13 | 38:36 | 41 |
| უიგანი | 32 | 11 | 8 | 13 | 31:36 | 41 |
| სიტი | 32 | 11 | 5 | 16 | 47:42 | 38 |
| ბოლტონი | 32 | 11 | 4 | 17 | 39:49 | 37 |
| სტოკი | 32 | 9 | 9 | 14 | 32:48 | 36 |
| პორტსმუთი | 31 | 8 | 10 | 13 | 34:48 | 34 |
| ჰალი | 32 | 8 | 10 | 14 | 36:55 | 34 |
| ბლექბერნი | 32 | 8 | 10 | 14 | 35:54 | 34 |
| სანდერლენდი | 32 | 8 | 8 | 16 | 30:43 | 32 |
| ნიუკასლი | 32 | 6 | 12 | 14 | 37:52 | 30 |
| მიდლსბრო | 32 | 7 | 9 | 16 | 25:47 | 30 |
| ვესტ ბრომვიჩი | 32 | 6 | 7 | 19 | 28:59 | 25 |




დიდიე დროგბამ ორი გაიტანა, გაიყვანეს და „ჩელსის“ საქმე კინალამ უკუღმა წავიდა

### ჩემპიონატი. XXXIX ტური

შეფილდი — ბარნსლი 2:1; უოტფორდი — საუთჰემპტონი 2:2; კრ. პალასი — ქოვენთრი 1:1; კარდიფი — დერბი 4:1; ვულვზი — საუთჰემპტონი 3:0; რედინგი — შეფილდი 0:1; პრესტონი — ბლექპული 0:1; ბარნლი — ქუინზ პარკი 1:0; ჩარლტონი — ბირმინგემი 0:0; კრ. პალასი — კარდიფი 0:2; იფსვიჩი — დონკასტერი 1:3; ნოტინგემი — ბრისტოლი 3:2; პლიმუთი — ქოვენთრი 4:0; უესლი — დერბი 0:1; სუონსი — ნორვიჩი 2:1; უოტფორდი — ბარნსლი 1:1

### I ლიგა

7 აპრილი

ჰერეფორდი — ბრაიტონი 1:2; ლეიტონი — ლიდსი 2:2;

10-11 აპრილი

